

მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების
ფლობისა და სარგებლობის
საპასუხისმგებლო რეგულირების

ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო პრინციპები
ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში



მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების
ფლობისა და სარგებლობის
საპასუხისმგებლო რეგულირების
ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო პრინციპები
ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში

ქართული გამოცემის რედაქტორი:

პაატა კოლუაშვილი, სტუ-ს პროფესორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ტექსტის რუსული გამოცემიდან მთარგმნელები:

თენგიზ ლაჭყვიანი
თეიმურაზ ქოჩლაძე
პაატა კოლუაშვილი

წინამდებარე საინფორმაციო პროდუქტში გამოყენებული აღნიშვნები მაყალის წარმოდგენა არ ნიშნავს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მხრივ რაიმე აზრის გამოხატვას ამა თუ იმ ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან რაიონის, ან მათი ხელისუფლების სამართლებრივი სტატუსის ან განვითარების დონეზე, ან მათი საზღვრებისა ან მიჯნების დელიმიტაციის მიმართ. კონკრეტული კომპანიების ან გარკვეულ მწარმოებელთა პროდუქტების მოხსენიება, დამოუკიდებლად იმისა, დაპატენტებულია თუ არა ისინი, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მოწონებული ან რეკომენდებულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ და მათ ეძლევა უპირატესობა სხვა კომპანიების ან ანალოგიური ხასიათის პროდუქტების მიმართ, რომლებიც ტექსტში არ მოიხსენიება.

ISBN 978-92-5-407277-3 (ბეჭდვითი გამოცემა)

e-ISBN 978-92-5-407557-6 (PDF)

© ფაო 2013

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია ამ საინფორმაციო პროდუქტში არსებული მასალის გამოყენებას, ტირაჟირებას და გავრცელებას. თუ არ არის მითითებული სხვა რაიმე, ნებადართულია ამ მასალის კოპირება, გადმოწერა ინტერნეტიდან და ბეჭდვა ცალკე შესწავლის, სამეცნიერო კვლევების და სწავლების მიზნით, ან არაკომერციულ პროდუქტებში ან მომსახურებაში გამოსაყენებლად იმ პირობით, რომ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია სათანადოდ იქნება მითითებული წყაროდ და საავტორო უფლებების მფლობელად და ამავე დროს არავითარი სახით არ ივარაუდება, რომ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია იწონებს მომხმარებლების აზრებს, პროდუქტებს ან მომსახურებებს.

თარგმანზე და ადაპტაციაზე, აგრეთვე გადაყიდვაზე და სხვა სახის კომერციულ გამოყენებაზე უფლებების მისაღებად საჭიროა მოთხოვნა გადაიგზავნოს მისამართებზე: www.fao.org/contact-us/licence-request ან copyright@fao.org.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის საინფორმაციო პროდუქტები განთავსებულია ვებ-საიტზე (www.fao.org/publications); გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის საინფორმაციო პროდუქტების შესყიდვის მსურველებს შეუძლიათ მიმართონ მისამართზე: publications-sales@fao.org.

შინაარსი

წინასიტყვაობა

ნაწილი 1 შესავალი

1. მიზნები
2. გამოყენების ხასიათი და სფერო

ნაწილი 2 საერთო საკითხები

3. ფლობისა და სარგებლობის საპასუხისმგებლო რეგულირების საკითხების სახელმძღვანელო პრინციპები
 - 3ა საერთო პრინციპები
 - 3ბ გამოყენების პრინციპები
4. ფლობისა და სარგებლობის სისტემასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები
5. პოლიტიკური, სამართლებრივი და საორგანიზაციო მექანიზმები, დაკავშირებული ფლობისა და სარგებლობის საკითხებთან
6. მომსახურების გაწევა

ნაწილი 3 ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებით იურიდიული აღიარება და უფლებებისა და მოვალეობების მინიჭება

7. გარანტიები
8. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის, თევზებისა და ტყის რესურსები
9. ძირეული ხალხების თემები და სხვა თემები ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემებით
10. არაფორმალიზებული ფლობა და სარგებლობა

ნაწილი 4 ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა და მათში სხვა ცვლილებების შეტანა

11. ბაზრები
12. ინვესტიციები
13. მიწის ნაკვეთების გამსხვილება და რეორგანიზაციის სხვა მეთოდები
14. რესტიტუცია

15. გადამანაწილებელი რეფორმები
16. ექსპროპრიაცია და კომპენსაცია

ნაწილი 5 ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირება

17. ფლობისა და სარგებლობის უფლებების აღრიცხვა
18. შეფასება
19. დაბეგვრა
20. რეგულირებადი ტერიტორიული დაგეგმვა
21. ფლობისა და სარგებლობის უფლებების გამო წარმოქმნილი დავების გადაწყვეტა
22. ტრანსსასაზღვრო საკითხები

ნაწილი 6 რეაგირება კლიმატის ცვლილებებზე და საგანგებო სიტუაციებზე

23. კლიმატის ცვლილება
24. სტიქიური უბედურებები
25. კონფლიქტები მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის საკითხების მიმართ

ნაწილი 7 წინ წაწევა, გამოყენება, მონიტორინგი და შეფასება

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო პრინციპების დანიშნულებაა გამოყენებულ იქნეს საცნობარო მასალად და მისცეს რეკომენდაციები მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების სრულყოფისათვის, ყველასათვის სასურსათო უსაფრთხოების უმაღლესი მიზნის მიღწევის და საკმარის კვებაზე უფლების თანდათანობით განხორციელების მხარდაჭერის თვალსაზრისით, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო პრინციპები მოწოდებულია ხელი შეუწყოს გლობალურ და ეროვნულ დონეზე მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე მიღებულ ძალისხმევებს შიმშილისა და სიღარიბის ლიკვიდაციისათვის და მიწის ცენტრალური როლის აღიარებას განვითარების, ფლობისა და სარგებლობის უფლებების და მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებთან თანაბარუფლებიანი დაშვების საკითხებში.

შიმშილობისა და სიღარიბის ლიკვიდაცია, აგრეთვე მდგრადი ბუნებათსარგებლობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ხელმისაწვდომობა აქვთ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებზე ადამიანებს, თემებს და სხვა მომხმარებლებს. ბევრი ადამიანის საარსებო წყაროები, განსაკუთრებით ღარიბი სოფლებებისა, დამოკიდებულია ამ რესურსებთან საიმედო თანაბარუფლებიან ხელმისაწვდომობაზე და მათზე კონტროლზე. ისინი არის კვებისა და სახლკარის (თავშესაფრის) წყარო, შეადგენენ სოციალური, კულტურული და რელიგიური პრაქტიკების საფუძველს და წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის საპასუხისმგებლო რეგულირების საკითხები უწყვეტადაა დაკავშირებული სხვა ბუნებრივ რესურსებთან წვდომის საკითხთან, მათ შორის წყლისა და მინერალურ რესურსებთან და მათ მართვასთან. ცნობს რა ამ ბუნებრივი რესურსების სხვადასხვა მოდელებისა და სხვადასხვა ეროვნულ კონტექსტში მართვის სისტემების არსებობას, სახელმწიფოებს შეუძლიათ შესაბამის შემთხვევებში გაითვალისწინონ ამ დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხები წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების რეალიზაციისას.

ადამიანების, თემების და სხვა მომხმარებლების მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებთან ხელმისაწვდომობას საზოგადოებები განსაზღვრავენ და არეგულირებენ ფლობისა და სარგებლობის სისტემების საშუალებით. ფლობისა და სარგებლობის ეს სისტემები ადგენენ, თუ ვის რა რესურსები შეუძლია გამოიყენოს, რა ვადით და რა პირობებით. ეს სისტემები შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც დაწერილ სამართალს – წესებსა და კანონებს, ისე დაუწერელ ტრადიციებსა და პრაქტიკას. ფლობისა და სარგებლობის სისტემები განიცდიან სულ უფრო მზარდ ზეწოლას პლანეტის მზარდი მოსახლეობის სასურსათო

უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობის და გარემოს დეგრადაციითა და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების შემცირების გამო. არასაკმარისი და დაუცველი უფლებები ფლობასა და სარგებლობაზე აძლიერებენ მოწყვლადობას, შიმშილობას და სიღარიბეს, აგრეთვე შეიძლება გამოიწვიონ კონფლიქტები და გარემოს დეგრადაცია იქ, სადაც მეტოქე მომხმარებლები იბრძვიან ამ რესურსებზე კონტროლისათვის.

ფლობისა და სარგებლობის მართვა არის საკვანძო ელემენტი იმის დადგენაში, შეუძლიათ თუ არა ადამიანებს, თემებს და სხვა მომხმარებლებს მიიღონ უფლებები და მათთან დაკავშირებული მოვალეობები, რათა გამოიყენონ და გააკონტროლონ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსები და თუ კი – როგორი სახით. ფლობისა და სარგებლობის ბევრი პრობლემა წარმოიქმნება არაეფექტური რეგულირების გამო, ხოლო ამ პრობლემების გადაწყვეტის ცდების წარმატება დამოკიდებულია რეგულირების ხარისხზე. არაეფექტური რეგულირება ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს სოციალურ სტაბილურობაზე, გარემოს მდგრად გამოყენებაზე, ინვესტიციებზე და ეკონომიკურ ზრდაზე. ადამიანები შეიძლება განწირულ იქნენ შიმშილსა და სიღარიბეზე, თუ ისინი დაკარგავენ თავიანთ სახლებზე, მიწაზე, აგრეთვე თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებას, ე.ი. ისინი დაკარგავენ საარსებო საშუალებებს ფლობისა და სარგებლობის რეჟიმების ადმინისტრირების კორუმპირებული პრაქტიკის შედეგად ან კომპეტენტური ორგანოების უუნარობით დაიცვან მათი უფლებები. ადამიანებმა შეიძლება დაკარგონ სიცოცხლეც კი, როცა ფლობისა და სარგებლობის საკითხების არაეფექტურ რეგულირებას მივყავართ ძალადობრივ კონფლიქტებამდე. ფლობისა და სარგებლობის საკითხების საპასუხისმგებლო რეგულირება, თავის მხრივ, ხელს უწყობს მდგრად სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, რასაც შეუძლია დახმარება გაუწიოს სიღარიბისა და სასურსათო უსაფრთხოების არარსებობის აღმოფხვრაში და აგრეთვე შექმნას სასურველი პირობები საპასუხისმგებლო ინვესტიციებისათვის.

რეაგირებს რა მზარდ და საყოველთაო ინტერესებზე, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ და მისმა პარტნიორებმა ხელში აიღეს ფლობისა და სარგებლობის საპასუხისმგებლო რეგულირების საკითხების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება. ეს ინიციატივა ეყრდნობა ნებაყოფლობით სახელმძღვანელო პრინციპებს საკმარის კვებაზე უფლებების თანდათან განხორციელების მხარდასაჭერად ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში (ნებაყოფლობით სახელმძღვანელო პრინციპები კვებაზე უფლების მხარდასაჭერად), მიღებულს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის საბჭოს 127-ე სესიაზე 2004 წლის ნოემბერში და საერთაშორისო კონფერენციაზე აგრარული რეფორმისა და სასოფლო რაიონების განვითარების საკითხებზე (2006 წ.) და აძლიერებს მათ.

თავისი 36-ე სესიის მსვლელობისას 2010 წლის ოქტომბერში მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტმა მხარი დაუჭირა არსებული სახელმძღვანელო პრინციპების დამუშავების პროცესის გაგრძელებას, რათა ისინი წარდგენილიყო მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტში და მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო ღია შემადგენ-

ლობის მუშა ჯგუფი მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტის ფარგლებში სახელმძღვანელო პრინციპების პირველი ვარიანტის განსახილველად.

სახელმძღვანელო პრინციპების ფორმატი ძალზე ახლოა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სხვა ნებაყოფლობით ინსტრუმენტების ფორმატებთან, რომლებიც ადგენენ საპასუხისმგებლო საქმიანობის პრინციპებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს: *ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო პრინციპები კვებაზე უფლების მხარდასაჭერად; საპასუხისმგებლო მეთევზეობის წარმოების კოდექსი; საერთაშორისო ქცევის კოდექსი პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების სფეროში; სატყეო ნარგავების საპასუხისმგებლო მართვის ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო პრინციპები და ტყის ხანძრების პროფილაქტიკის და მათთან ბრძოლის ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო პრინციპები – პრინციპები და სტრატეგიული ღონისძიებები*. ეს ინსტრუმენტები წარმოადგენენ შედარებით მოკლე დოკუმენტებს, რომლებიც იძლევა იმის საფუძველს, რომ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ სტრატეგიის, პოლიტიკის, კანონების, პროგრამების და მოქმედებების შემუშავებისას. მათ თან ახლავს მთელი რიგი დამატებითი დოკუმენტები, როგორიცაა დამატებითი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგენენ ცალკეული ასპექტების ტექნიკურ დეტალებს, სასწავლო და საინფორმაციო-პროპაგანდისტულ მასალებს და აგრეთვე პრინციპების რეალიზაციის შემდგომ სახელმძღვანელოებს.

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები მოწონებულ იქნა სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტის მიერ მის ოცდამეთვრამეტე (სპეციალურ) სესიაზე 2012 წლის 11 მაისს.

ისინი დამუშავებულ იქნა ღია შემადგენლობის მუშა ჯგუფის მიერ 2011 წლის ივნისში, ივლისში და ოქტომბერში და 2012 წლის მარტში ჩატარებული სესიების მსვლელობისას. ისინი ეფუძნება 2009-2010 წლების განმავლობაში ჩატარებული ფართო კონსულტაციების შედეგებს. რეგიონული საკონსულტაციო თათბირები ჩატარდა ბრაზილიაში, ბურკინა-ფასოში, ვიეტნამში, იორდანიაში, ნამიბიაში, პანამაში, რუსეთის ფედერაციაში, რუმინეთში, სამოაში და ეთიოპიაში. ამ რეგიონულ საკონსულტაციო თათბირებში მონაწილეობა მიიღო თითქმის 700 ადამიანმა 133 ქვეყნიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ სახელმწიფო და კერძო სექტორებს, სამოქალაქო საზოგადოებას და სამეცნიერო წრეებს. ოთხმა საკონსულტაციო თათბირმა, რომლებიც ჩატარდა სპეციალურად აფრიკის (მალი), აზიის (მალაიზია), ევროპის, ცენტრალური და დასავლეთ აზიის (იტალია) და აგრეთვე ლათინური ამერიკის (ბრაზილია) სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენლებისათვის, თავი მოუყარა თითქმის 200 მონაწილეს 70 ქვეყნიდან, ხოლო კერძო სექტორისათვის დამატებით ორგანიზებულ საკონსულტაციო თათბირში მონაწილეობა მიიღო 70-ზე მეტმა ადამიანმა 21 ქვეყნიდან. ეს სახელმძღვანელო პრინციპები მოიცავს აგრეთვე წინადადებებს, რომლებიც მიღებულ იქნა „ნულოვანი პროექტის“ ტექსტზე ელექტრონული კონსულტაციების მსვლელობისას. „ნულოვანი პროექტის“ გაუმჯობესებაზე გამიზნული წინადადებები მიღებულ იქნა მთელი მსოფლიოს სახელმწიფო და კერძო სექტორების, სამოქალაქო საზოგადოების და სამეცნიერო წრეების მხრიდან.

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებს და ეყრდნობა სხვა საერთაშორისო და რეგიონულ სამართლებრივ დოკუმენტებს, მათ შორის ათასწლეულის განვითარების მიზნებს, მიძღვნილს ადამიანის უფლებებისადმი და ფლობისა და სარგებლობის უფლებებისადმი. როცა წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების მკითხველები განიზრახავენ ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების გაუმჯობესებას, მაშინ მათ ეძლევათ რეკომენდაცია, რომ რეგულარულად განიხილონ ასეთი დოკუმენტები და შეუსაბამონ ისინი გამოყენებულ ვალდებულებებს და ნებაყოფლობით შეთანხმებებს, აგრეთვე დამატებითი კონსულტაციების მიღების მიზნით.

შესავალი

1. მიზნები

- 1.1. წარმოდგენილი ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო პრინციპები მიზნად ისახავენ მიწის,* თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების გაუმჯობესებას. მათი დანიშნულებაა ემსახურონ ყველა ადამიანის ინტერესებს, განსაკუთრებით მოსახლეობის სუსტ და განცალკევებულ ჯგუფებს, ისახავს რა მიზნად სასურსათო უსაფრთხოების მიღწევას და სათანადო კვებაზე უფლების თანდათანობით განხორციელებას, სიღარიბის ლიკვიდაციას, საარსებო საშუალებების მდგრადი წყაროების მხარდაჭერას, საცხოვრებლით დაკმაყოფილებას, სასოფლო რაიონების განვითარებას, გარემოს დაცვას და მდგრად სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. ყველა პროგრამა, სახელმძღვანელო მითითებები და ტექნიკური დახმარების ღონისძიებები, მიმართული ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების სრულყოფაზე წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებით, უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოების მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს, მათ შორის ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის დებულებებს და სხვა საერთაშორისო უფლებადამცველ დოკუმენტებს.
- 1.2. წარმოდგენილი ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო პრინციპები მიმართულია:
 1. ფლობისა და სარგებლობის მართვის გაუმჯობესებაზე მიმმართველი მითითებებისა და ინფორმაციის მიწოდების გზით, საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკით, მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობის, მართვისა და კონტროლის უფლებებზე პასუხისმგებელი სისტემის მიმართ;
 2. ამ რესურსების ფლობისა და გამოყენების უფლებების მთელი დიაპაზონის მარეგულირებელი პოლიტიკური, სამართლებრივი და საორგანიზაციო მექანიზმების სრულყოფასა და დამუშავებაზე;
 3. ფლობისა და სარგებლობის სისტემების გამჭვირვალობის ამაღლებაზე და მათი ფუნქციონირების გაუმჯობესებაზე;
 4. შემსრულებელი დაწესებულებების, სასამართლო ორგანოების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, ფერმერებისა და მცირე მეწარმეთა ორგანიზაციების, მეთევზეებისა და ტყით მოსარგებლეთა, მომთაბარე მესაქონლეების, ძირეული ხალხების თემების და სხვა თემების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, სამეცნიერო წრეების და ფლობისა და სარგებლობის

* საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული განსაზღვრება ცნებისა „მიწა“, ფლობისა და სარგებლობის კონტექსტში, არ არსებობს. ამ ცნების მნიშვნელობა შეიძლება დამოკიდებული იყოს ეროვნულ კონტექსტზე.

საკითხების რეგულირების სფეროში დაკავებული ყველა პირის პოტენციალის განმტკიცებაზე და მათი საქმიანობის სრულყოფაზე, აგრეთვე მითითებულ სუბიექტებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერაზე.

2. მიზნები

- 2.1. წარმოდგენილი სახელმძღვანელო პრინციპები ნებაყოფლობითი ხასიათისაა.
- 2.2. ეს სახელმძღვანელო პრინციპები განმარტებული და გამოყენებული უნდა იქნეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის არსებული ვალდებულებების დაცვით და ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით, გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში. ისინი ავსებენ და აძლიერებენ ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებს, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და უზრუნველყოფენ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და გამოყენების გარანტირებულ უფლებებს, აგრეთვე რეგულირების გაუმჯობესების ინიციატივებს. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების არც ერთი დებულება არ უნდა განიხილებოდეს როგორც შემზღუდავი ან ჩამშლელი ნებისმიერი სამართლებრივი ვალდებულებისა, რომლებიც სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.
- 2.3. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები შეიძლება გამოიყენოს სახელმწიფოებმა, შემსრულებელმა დაწესებულებებმა, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სასამართლოებმა, ფერმერებისა და მცირე მეწარმეთა ორგანიზაციებმა, მეთევზეებმა და ტყით მოსარგებლეებმა, მომთაბარე მესაქონლეებმა, ძირეული ხალხების თემებმა და სხვა თემებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ, კერძო სექტორმა, სამეცნიერო წრეებმა და ყველა პირმა, რომლებიც დაკავებული არიან ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების შეფასებით, მათი სრულყოფის ღონისძიებების დადგენით და ასეთი ღონისძიებების რეალიზაციით.
- 2.4. სახელმძღვანელო პრინციპებს აქვთ გლობალური ხასიათი. ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით ისინი შეიძლება გამოყენებული იყოს ეკონომიკური განვითარების ნებისმიერ ეტაპზე მყოფი ყველა ქვეყნისა და რეგიონის მიერ იმ საკითხების დასარეგულირებლად, რომლებიც ეხება ფლობისა და სარგებლობის ნებისმიერი ფორმას, როგორცაა მათ შორის სახელმწიფო, კერძო, საზოგადოებრივი, კოლექტიური, დამახასიათებელი ძირეული ხალხების და ტრადიციული თემებისათვის.
- 2.5. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები განმარტებული და გამოყენებული უნდა იქნეს ეროვნული კანონმდებლობის სისტემებისა და მათი ინსტიტუტების შესაბამისობაში.

საერთო საკითხები

ეს ნაწილი მიმდგნოლია მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების სხვადასხვა ასპექტებისადმი უფლებების და მოვალეობების, პოლიტიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების და აგრეთვე მომსახურების გაწევის მხრივ.

ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების კონტექსტში სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულებები გამოყენებადი საერთაშორისო უფლებადამცველი დოკუმენტების შესაბამისად. ნაწილი 2 განხილული უნდა იქნეს 2.2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე.

3. ფლობისა და სარგებლობის საპასუხისმგებლო რეგულირების საკითხების სახელმძღვანელო პრინციპები

3ა. საერთო პრინციპები

3.1. სახელმწიფოები ვალდებული არიან:

1. აღიარონ და პატივი სცენ ფლობისა და სარგებლობის უფლების ყველა კანონიერ მფლობელს და მათ უფლებებს. მათ უნდა მიიღონ გონივრული ზომები ფლობისა და სარგებლობის უფლებების აღიარებისა და რეგისტრაციისათვის, ფლობისა და სარგებლობის უფლებების კანონიერი მფლობელების პატივსაცემად, მიუხედავად იმისა, ოფიციალურად ფიქსირებულია თუ არა ეს უფლებები; თავი შეიკავონ სხვა პირების კუთვნილი ფლობისა და სარგებლობის უფლებების დარღვევისაგან; აგრეთვე შეასრულონ ფლობისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული მოვალეობები.
2. დაიცვან ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებები მუქარებისა და ხელყოფისაგან. მათ უნდა დაიცვან ფლობისა და სარგებლობის უფლებათა მფლობელები ამ უფლებების დაკარგვისაგან თვითნებური მოქმედებების შედეგად, იძულებითი გამოსახლების ჩათვლით, რაც ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ეწინააღმდეგება მათ მოქმედ მოვალეობებს.
3. ხელი შეუწყონ ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებების რეალიზაციას და შექმნან ამისათვის შესაბამისი პირობები. მათ აქტიური ზომები უნდა მიიღონ ფლობისა და სარგებლობის უფლებების სრული რეალიზაციის ხელშეწყობად ან ამ უფლებების გადასაცემად, შესაბამისი პირობების შექმნის გზით, მაგალითად, მომსახურების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.
4. უზრუნველყონ სასამართლო სისტემასთან მიწვდომა ფლობისა და სარგებლობის

კანონიერი უფლებების დარღვევების რეგულირებისათვის. მათ სასამართლო ორგანოების საშუალებით და სხვა გზებით უნდა უზრუნველყონ ყველასათვის ხელმისაწვდომი საშუალებები ფლობისა და სარგებლობის უფლებების შესახებ დავების გადასაჭრელად, აგრეთვე მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომი და ოპერატიული აღსრულება. საზოგადოებრივი ინტერესების გამო ფლობისა და სარგებლობის უფლებების ჩამორთმევის შემთხვევაში სახელმწიფოებმა უნდა გასცენ დაუყოვნებელი და სამართლიანი კომპენსაცია.

5. თავიდან აიცილოს ფლობისა და სარგებლობის გარშემო წარმოქმნილი დავები, კონფლიქტების ძალის გამოყენებით და კორუფცია. მათ აქტიური ზომები უნდა გაატარონ ფლობისა და სარგებლობის უფლებების შესახებ დავების წარმოქმნის და ძალის გამოყენებით კონფლიქტების ესკალაციის თავიდან ასაცილებლად. ისინი უნდა მისწრაფოდნენ კორუფციის თავიდან აცილებისაკენ მისი ყოველგვარი გამოვლინებით, ყველა დონეზე და ყველგან.

- 3.2. არასახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის კომერციული საწარმოები ვალდებული არიან პატივი სცენ ადამიანის უფლებებს და ფლობისა და სარგებლობის კანონიერ უფლებებს. კომერციულმა საწარმოებმა წინდახედულად უნდა იმოქმედონ, არ დაუშვან სხვა სუბიექტების კუთვნილი ადამიანის უფლებები და ფლობისა და სარგებლობის კანონიერ უფლებები. მათ უნდა გაითვალისწინონ რისკების მართვის შესაბამისი სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ თავიდან ააცილონ ნეგატიური შედეგების წარმოშობა ადამიანის უფლებებისა და ფლობისა და სარგებლობის კანონიერ უფლებების მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული საწარმოების საქმიანობამ პირდაპირ ან ირიბად გამოიწვია ნეგატიური შედეგები ადამიანის უფლებების ან ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებების მიმართ, მაშინ ეს კომერციული საწარმოები ვალდებული არიან დარღვევათა აღმოსაფხვრელად შესთავაზონ არასასამართლო მექანიზმები და ითანამშრომლონ ასეთი მექანიზმების ფარგლებში, და სადაც ეს მიზანშეწონილია, ჩართონ საჩივრების განხილვის ქმედითი მექანიზმები ოპერატიულ დონეზე. კომერციულმა საწარმოებმა უნდა გამოავლინონ და შეაფასონ ყველა არსებული ან პოტენციური შედეგი ადამიანის უფლებების ან ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებების დარღვევისა, რომლებთანაც მათ შეიძლება ჰქონდეთ კავშირი. სახელმწიფოებმა, მათი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, უნდა უზრუნველყონ ხელმისაწვდომობა სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებთან კომერციული საწარმოების მიზეზით ადამიანის უფლებებისათვის ან ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებებისათვის ნეგატიური შედეგების წარმოქმნის შემთხვევაში. თუ საკითხი ეხება ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, მაშინ სახელმწიფოებმა, სადაც ისინი არიან რეგისტრირებული, უნდა ითამაშონ გარკვეული როლი, დაეხმარონ როგორც თვით კორპორაციებს, ისე მათ მიმღებ სახელმწიფოებს, რომ უზრუნველყონ, რათა კომერციული საწარმოები არ იყვნენ ჩართულნი ადამიანის უფლებების ან ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებების დამრღვევ ქმედებებში. სახელმწიფოებმა

უნდა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები ადამიანის უფლებების და ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებების დასაცავად დარღვევებისაგან კომერციული საწარმოების მხრიდან, რომლებიც არიან სახელმწიფოს საკუთრებაში ან სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ ან იღებენ მნიშვნელოვან მხარდაჭერას და მომსახურებას სახელმწიფო დაწესებულებებიდან.

3ბ. გამოყენების პრინციპები

წარმოდგენილი გამოყენების პრინციპები ძალზე მნიშვნელოვანია მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის საკითხების საპასუხისმგებლო რეგულირების მხარდაჭერის თვალსაზრისით.

1. **ადამიანური ღირსება:** ყოველი ინდივიდუუმის ხელშეუვალი ღირსების, აგრეთვე ადამიანის თანაბარი და ხელშეუვალი უფლებების აღიარება.
2. **დისკრიმინაციის დაუშვებლობა:** არავინ არ უნდა განიცადოს დისკრიმინაცია კანონების, პოლიტიკის ან პრაქტიკის ფარგლებში.
3. **თანასწორობა და სამართლიანობა:** აღიარება იმისა, რომ ცალკეულ პირებს შორის თანასწორობის უზრუნველყოფა მოითხოვს ინდივიდუალური განსხვავებების აღიარებას და გატარდეს პოზიტიური მოქმედებები, მათ შორის უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების, მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის თანასწორი უფლებების უზრუნველსაყოფად ეროვნულ კონტექსტში, აგრეთვე მათზე ყველას: ქალების და მამაკაცების, ახალგაზრდების, ტრადიციულად სოციალურად განყენებული ხალხის ხელმისაწვდომობა.
4. **გენდერული თანასწორობა:** ქალების და მამაკაცების თანასწორი უფლებების უზრუნველყოფა ადამიანის ყველა უფლების გამოყენებისას, ამავდროულად ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავებების აღიარებით, და როცა ეს აუცილებელია, განსაკუთრებული ზომების მიღებით, რომლებიც გამოიწვევს თანასწორობის ფაქტობრივი მიღწევის დაჩქარებაზე. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ქალებისა და გოგონებისათვის მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის და მათზე ხელმისაწვდომობის თანასწორი უფლებები მათი სამოქალაქო სტატუსისა და ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად.
5. **ერთიანი და მდგრადი მიდგომა:** ბუნებრივ რესურსებსა და მათ გამოყენებას შორის ურთიერთკავშირის აღიარება და მათი მართვისადმი კომპლექსური და მდგრადი მიდგომის გამოყენება.
6. **კონსულტაციები და მონაწილეობა:** თანამშრომლობა მათთან, ვისაც აქვს უფლება ფლობასა და სარგებლობაზე და ვისაც შეიძლება შეეხოს მიღებული გადაწყვეტილებები და მისწრაფება, მიიღონ მათი მხარდაჭერა ასეთი გადაწყვეტილებების მიღებამდე, აგრეთვე რეაგირება მათ აზრზე; სხვადასხვა მხარეებს

შორის არსებული დისბალანსის გათვალისწინება და გადაწყვეტილებების მიღების შესაბამის პროცესებში ცალკეული პირებისა და ჯგუფების აქტიური, თავისუფალი, ქმედითი, შინაარსობრივი და ინფორმირებული მონაწილეობა.

7. **სამართლის უზენაესობა:** სამართლებრივი მიდგომა კანონების საფუძველზე, რომლებიც ფართოდაა გამოქვეყნებული გამოყენებულ ენებზე, მოქმედებენ ყველას მიმართ, გამოიყენება მიუდგომლად დამოუკიდებელი სასამართლოების მიერ და შეესაბამება მათ მოქმედ ვალდებულებებს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და ნებაყოფლობითი ვალდებულებების სათანადო გათვალისწინებით, გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად.
8. **გამჭვირვალობა:** წესების, კანონებისა და პროცედურების ფართო საჯაროობა და მიღებული გადაწყვეტილებების ფართოდ განსაჯაროება გამოყენებულ ენებზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფორმატებში.
9. **პასუხისმგებლობა:** ადამიანების, სახელმწიფო ორგანოების და არასახელმწიფო სტრუქტურების თავიანთ მოქმედებებზე და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა სამართლის უზენაესობის პრინციპის თანახმად.
10. **მუდმივი სრულყოფა:** სახელმწიფოებმა უნდა სრულყონ მონიტორინგისა და ანალიზის მექანიზმები ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების სფეროში ფაქტებზე დაფუძნებული პროგრამების დამუშავების და მუდმივი დადებითი ცვლილებების უზრუნველყოფის მიზნით.

4. ფლობისა და სარგებლობის სისტემასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები

- 4.1. სახელმწიფოები უნდა მიისწრაფოდნენ, რათა უზრუნველყონ ფლობისა და სარგებლობის საკითხების საპასუხისმგებლო რეგულირება, რადგან მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის უფლებათა რეალიზაციისათვის, სასურსათო უსაფრთხოებისათვის, სიღარიბის ლიკვიდაციისათვის, არსებობის საშუალებათა მდგრადი წყაროების მხარდაჭერისათვის, სოციალური სტაბილურობისათვის, საცხოვრებელი უზრუნველყოფისათვის, სასოფლო რაიონებისა და სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის.
- 4.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მოქმედება ფლობისა და სარგებლობის და მათთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების მიმართ ხდებოდეს მათი მოქმედი ვალდებულებების შესატყვისად, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, ნებაყოფლობითი ვალდებულებების გათვალისწინებით, გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად.
- 4.3. ყველა მხარემ უნდა აღიაროს, რომ ფლობისა და სარგებლობის არც ერთი ფორმა,

კერძო საკუთრების ჩათვლით, არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. ფლობისა და სარგებლობის ყველა უფლება შეზღუდულია სხვა პირთა უფლებებით და სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი მიზნებისათვის გატარებული აუცილებელი ღონისძიებებით. ასეთი ღონისძიებები საჭიროა განისაზღვროს კანონმდებლობით, მხოლოდ საერთო კეთილდღეობისათვის, გარემოს დაცვის საკითხების ჩათვლით და ადამიანი უფლებათა სფეროში სახელმწიფოს ვალდებულებების შესაბამისად. ფლობისა და სარგებლობის უფლებებს თან ახლავს გარკვეული ვალდებულებები. ყველა პირი ვალდებულია პატივი სცეს მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების გრძელვადიან დაცვას და მდგრად გამოყენებას.

- 4.4. გამომდინარე ფლობისა და სარგებლობის უფლებების ხასიათიდან და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მიმდინარე მომენტისათვის კანონით დაუცველი ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებების სამართლებრივი აღიარება. პოლიტიკის ღონისძიებები და კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფლობისა და სარგებლობის უფლებებს, არ უნდა იყოს დისკრიმინაციული და უნდა ითვალისწინებდნენ გენდერულ ასპექტებს. ამ დოკუმენტში განცხადებული კონსულტაციების ჩატარებისა და მათში მონაწილეობის პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფოებმა ფართოდ გასაჯაროებულ წესებში უნდა განსაზღვრონ კანონიერად ცნობილი უფლებების კატეგორიები. ფლობისა და სარგებლობის ყველა ტიპი ყველა პირს უნდა აძლევდეს ფლობისა და სარგებლობის ისეთი ხარისხის საიმედოობას, რომელიც უზრუნველყოფდა სამართლებრივ დაცვას იძულებითი გამოსახლებისგან, რაც წინააღმდეგობაშია მათ მოქმედ ვალდებულებებთან ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, აგრეთვე დევნისა და სხვა მუქარებისგან.
- 4.5. სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებები და უზრუნველყონ ადამიანები თვითნებური გამოსახლებისგან ან ფლობისა და სარგებლობის მათი კანონიერი უფლებების შელახვისაგან.
- 4.6. სახელმწიფოებმა ლიკვიდაცია უნდა უყონ და აკრძალონ დისკრიმინაციის ყველა ფორმა, მათ შორის დაკავშირებული ოჯახური მდგომარეობის ცვლილებებთან, არაქმედუნარიანობასთან და ეკონომიკურ რესურსებთან ხელმიუწვდომლობასთან. კერძოდ, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ქალებისა და მამაკაცების ფლობისა და სარგებლობის თანასწორი უფლებები, ამ უფლებების მემკვიდრეობისა და ანდერძის ჩათვლით. სახელმწიფოების ასეთი მოქმედებები უნდა შეესატყვისებოდეს მათ მოქმედ ვალდებულებებს გამოყენებული ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და სათანადოდ უნდა იყოს გათვალისწინებული ნებაყოფლობითი ვალდებულებები გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში.
- 4.7. იმ შემთხვევებში, როდესაც ადამიანებს არ შეუძლიათ თავისი ძალებით მიიღონ ფლობისა და სარგებლობის უფლებები თვითუზრუნველყოფისთვის, სახელმწი-

ფოებმა უნდა აღმოუჩინონ დახმარება არადისკრიმინაციულ საფუძველზე და გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით, უზრუნველყონ კომპეტენტური ორგანოებისა და სასამართლო ორგანოების მომსახურებებისადმი ხელმისაწვდომობა ან მიიღონ მონაწილეობა იმ პროცესებში, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ფლობისა და სარგებლობის უფლებებზე.

- 4.8. რადგან ადამიანის უფლებები არის საყოველთაო, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული, მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებების საკითხების რეგულირება უნდა განხორციელდეს არა მარტო მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებთან წვდომასა და მათი გამოყენებასთან პირდაპირ დაკავშირებული უფლებების გათვალისწინებით, არამედ აგრეთვე მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გათვალისწინებითაც. ამასთან, სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ და დაიცვან სამართალდამცავთა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებები, მათ შორის გლეხების, ძირეული ხალხების, მეთევზეების, მომთაბარე მწყემსების და სოფლის მუშაკების ადამიანის უფლებები; მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების დასაცავად მოქმედი კერძო პირებისა და ასოციაციების მიმართ მათ უნდა შეასრულონ ადამიანის უფლებათა სფეროში აღებული ვალდებულებები.
- 4.9. სახელმწიფოებმა მიუკერძოებელი და კომპეტენტური სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების საშუალებით უნდა უზრუნველყონ ფლობისა და სარგებლობის უფლებების გამო წარმოქმნილი დავების გადასაწყვეტ დროულ და ეფექტურ საშუალებებთან წვდომა, ასეთი დავების ალტერნატიული საშუალებების ჩათვლით და მისცეს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები, რომლებიც შესაბამის შემთხვევებში შეიძლება მოიცავდნენ უფლებას აპელაციაზეც. დაუყოვნებლივ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის მითითებული საშუალებების გამოყენება, რომლებიც შეიძლება მოიცავდნენ რესტიტუციას, კომპენსაციას და ანაზღაურებას. 6.6 და 21.6 პუნქტების შესაბამისად, სახელმწიფო უნდა მიისწრაფოდეს, რომ ასეთ საშუალებებზე წვდომა ჰქონდეთ მოწყვლად და სოციალურად განწყენებულ პირებს. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ნებისმიერ პირს, რომლის ადამიანის უფლებებიც აღმოჩნდა დარღვეული ფლობისა და სარგებლობის კონტექსტში, წვდომა ჰქონდეს დავების დარეგულირებისა და სამართლებრივი დაცვის ასეთ საშუალებებთან.
- 4.10. სახელმწიფოები უნდა მიესალმებოდეს მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებით მოსარგებლე პირების მონაწილეობას ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების ფართო პროცესში, კერძოდ, პოლიტიკური ღონისძიებების, ტერიტორიების განვითარების საკითხებზე კანონებისა და გადაწყვეტილებების პროცესებში და გაუადვილოს მათ ამ პროცესებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების ფუნქციების მხედველობაში მიღებით და ეროვნული საკანონმდებლო და ნორმატიული დებულებების

შესაბამისად.

5. პოლიტიკური, სამართლებრივი და საორგანიზაციო მექანიზმები, დაკავშირებული ფლობისა და სარგებლობის საკითხებთან

- 5.1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ და მხარი დაუჭირონ პოლიტიკურ, სამართლებრივ და საორგანიზაციო მექანიზმებს, რომლებიც ხედს უწყობენ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის საკითხების საპასუხისმგებლო რეგულირებას. ეს მექანიზმები დამოკიდებულია სამართლებრივი სისტემის უფრო ფართო რეფორმებზე, სახელმწიფო მომსახურებასა და სასამართლო ორგანოებზე და ეყრდნობა მათ.
- 5.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა ფლობისა და სარგებლობის პოლიტიკური, სამართლებრივი და საორგანიზაციო საფუძვლები და მათთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება შეესაბამებოდეს მათ მოქმედ ვალდებულებებს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და სათანადოდ ითვალისწინებდეს ნებაყოფლობით ვალდებულებებს გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში.
- 5.3. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების პოლიტიკური, სამართლებრივი და საორგანიზაციო მექანიზმები აღიარებდნენ და პატივს სცემდნენ, ეროვნული კანონების დებულებების შესატყვისად, ფლობისა და სარგებლობის კანონიერ უფლებებს, მათ რიცხვში ფლობისა და სარგებლობის კანონით ჯერ კიდევ დაუცველ ტრადიციულ უფლებებს, და აგრეთვე ხელი შეუწყონ ფლობისა და სარგებლობის უფლებების განხორციელებას და დაიცვან ისინი. ასეთი მექანიზმები უნდა ასახავდეს მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მნიშვნელობას. სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ ასეთი მექანიზმები არ იყოს დისკრიმინაციული და ხელს უწყობდნენ სოციალური სამართლიანობისა გენდერული თანასწორობის მიღწევას. ეს მექანიზმები უნდა ასახავდნენ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებსა და მათი გამოყენების სხვადასხვა სახეებს ურთიერთკავშირს, აგრეთვე უზრუნველყოფდნენ მათ კომპლექსურ მართვას.
- 5.4. სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ განსაკუთრებული წინააღმდეგობები, რომელთაც აწყდებიან ქალები და გოგონები ფლობისა და სარგებლობის და შესაბამისი უფლებების რეალიზაციის საკითხებში და უნდა მიიღონ ზომები, მოწოდებული იმისათვის, რომ სამართლებრივი და პოლიტიკური მექანიზმები იძლეოდნენ ქალების ადეკვატურ დაცვას და უზრუნველყოფდნენ ქალების მიერ ფლობისა და სარგებლობის უფლებების მაღიარებელი კანონების გამოყენებასა და აღსრულებას. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქალებს შეეძლოთ მამაკაცების თანასწორად, კანონიერ საფუძველზე დადონ ხელშეკრულებები ფლობისა და სარგებლობის შესახებ, ისინი უნდა ისწრაფოდნენ, რათა გაუწიონ იურიდიული

მომსახურებისა და სხვა დახმარებები, რაც საშუალებას მისცემდა ქალებს დაეცვათ თავისი უფლებები ფლობისა და სარგებლობის საკითხებში.

- 5.5. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ შესაბამისი წესები, კანონები და პროცედურები პროცესების ფარგლებში ყველა დაინტერესებული მხარის ფართო მონაწილეობით, უზრუნველყონ მათში ქალებისა და მამაკაცების მონაწილეობა თავიდანვე. დასამუშავებელი წესები, კანონები და პროცედურები უნდა იყოს რეალურად შესრულებადი. ისინი უნდა შედგეს გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით, ნათლად ფორმულირებული გამოყენებულ ენებზე და ფართოდ გამოქვეყნებული.
- 5.6. სახელმწიფოებმა პასუხისმგებლობა უნდა დააკისრონ ხელისუფლების იმ ემელონებს, რომელთაც შეუძლიათ ყველაზე ეფექტიანად მოემსახურონ მოსახლეობას. სახელმწიფოებმა ნათლად უნდა განსაზღვრონ და მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის საკითხებით დაკავებული დაწესებულებების როლი და მოვალეობები. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კოორდინაცია შემსრულებელ დაწესებულებებს შორის, აგრეთვე, შესაბამის შემთხვევებში, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან, ძირეული ხალხების თემებთან და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემებთან.
- 5.7. სადაც ეს მიზანშეწონილია, სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ და გაასაჯაროონ სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის და სამეცნიერო წრეების მონაწილეობის შესაძლებლობა პოლიტიკური, სამართლებრივი და საორგანიზაციო სისტემების მექანიზმების დამუშავებასა და შექმნაში.
- 5.8. სახელმწიფოებმა და სხვა მხარეებმა პოლიტიკური, სამართლებრივი და საორგანიზაციო მექანიზმების ეფექტურობის მხარდასაჭერად რეგულარულად უნდა განახორციელონ მათი ფუნქციონირების ანალიზი და მონიტორინგი. შემსრულებელმა დაწესებულებებმა და სასამართლო ორგანოებმა უნდა იმუშაონ სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათი მომსახურების მომხმარებელთა წარმომადგენლებთან და ფართო საზოგადოებასთან, რათა გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალე პროცესებისა და პროცედურების ხარჯზე აამაღლონ თავიანთი მომსახურების ხარისხი და თავიდან აიცილონ კორუფცია. საჭიროა ნათლად ჩამოყალიბდეს ინფორმაცია ცვლილებებისა და მათგან მოსალოდნელი შედეგების შესახებ და ფართოდ გავრცელდეს გამოყენებულ ენებზე.
- 5.9. სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ წესები და კანონები, რომლებიც ეხება ფლობასა და სარგებლობას, მოქმედებენ უფრო ფართო პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ კონტექსტში. ამ უფრო ფართო კონტექსტის ცვლილებისას და იქ, სადაც მასთან დაკავშირებით საჭიროა ფლობისა და სარგებლობის რეფორმები, სახელმწიფოები უნდა მიისწრაფოდნენ, რომ ჩამოაყალიბონ ეროვნული კონსენსუსი შეთავაზებული რეფორმების მიმართ.

6. მომსახურების გაწევა **

- 6.1. სახელმწიფოებმა, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა რესურსები, უნდა უზრუნველყონ შემსრულებელი დაწესებულებები და სასამართლო ორგანოები ადამიანური, ფიზიკური, ფინანსური და სხვა პოტენციალით, რაც აუცილებელია წესებისა და კანონების დროულად და ეფექტურად გამოსაყენებლად, გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება ყველა ორგანიზაციულ დონეზე, პერსონალის დაქირავება უნდა მოხდეს გენდერული და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის სრული დაცვით.
- 6.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა და მათი მართვა ხორციელდებოდეს მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და ნებაყოფლობითი ვალდებულებების სათანადო გათვალისწინებით გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში.
- 6.3. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ოპერატიულობა ხელმისაწვდომი და არადისკრიმინაციული მომსახურებისა ფლობისა და სარგებლობის უფლებების დასაცავად, ამ უფლებების წინ წაწევისა და რეალიზაციის და დავების გადასაწყვეტად. სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან გადაჭარბებული სამართლებრივი და პროცედურული მოთხოვნები და ეცადონ გადალახონ ფლობისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული ბარიერები. სახელმწიფოებმა უნდა გაანალიზონ შემსრულებელი დაწესებულებებისა და სასამართლო ორგანოების მიერ გაწეული მომსახურებები და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ ზომები მათ გასაუმჯობესებლად.
- 6.4. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შემსრულებელი დაწესებულებები და სასამართლო ორგანოები ემსახურებოდნენ მთელ მოსახლეობას, მომსახურებას უწევდნენ ყველა ადამიანს, მათ შორის დაშორებულ ადგილებზე მყოფთ. მომსახურება საჭიროა გაწეულ იქნეს უმოკლეს ვადებში და ეფექტურად, გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი პირობებისადმი მისადაგებული ტექნოლოგიები, რომლებიც აამაღლებს მომსახურების ეფექტიანობას და გახდის მათ უფრო ხელმისაწვდომს. უნდა შემუშავდეს შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტები, რათა პერსონალს შეეძლოს თანმიმდევრულად და ჯეროვნად გამოიყენოს წესები და კანონები. პროცედურები უნდა გამარტივდეს, ისე რომ ამით რისკის ქვეშ არ მოხვდეს ფლობისა და სარგებლობის უსაფრთხოება ან მართლმსაჯულების ასრულება. ფართოდ უნდა გავრცელდეს განმარტებითი მასალები გამოყენებულ ენებზე, ინფორმირებულ იქნეს მომხმარებლები მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.
- 6.5. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ წესები და კანონები თანადგომისათვის, როცა ეს მიზანშეწონილია, მიწათმოწყობისა და სხვა ინფორმაციის გაცვლაზე, რომლებიც

** მე-17 და 21-ე განყოფილებების ფორმულირება ემყარება მე-6 განყოფილების ფორმულირებას.

ეხება ფლობისა და სარგებლობის უფლებებს და მათ ეფექტიან გამოყენებას სახელმწიფოს და შემსრულებელი დაწესებულებების, ძირეული ხალხების თემების და სხვა თემების, სამოქალაქო საზოგადოების, სამეცნიერო წრეებისა და საზოგადოების მიერ. საჭიროა შემუშავდეს ინფორმაციის ერთობლივი გამოყენების ეროვნული სტანდარტები, რეგიონული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

- 6.6. სახელმწიფოებმა და სხვა პარტნიორებმა უნდა დასახონ დამატებითი ღონისძიებები მოსახლეობის მოწყვლადი და განყენებული სოციალური ჯგუფების დასახმარებლად, რომელთათვისაც ადმინისტრაციული და სასამართლო მომსახურება სხვაგვარად მიუღწევადი იქნებოდა. აღნიშნული ღონისძიებები უნდა მოიცავდნენ იურიდიული მხარდაჭერის გაწევას, კერძოდ, იაფ სამართლებრივ დახმარებას, აგრეთვე შეიძლება მოიცავდნენ საშუალო იურიდიული პერსონალის ან მიწათმოქმედების მომსახურებას, გასვლით მომსახურებას დაშორებული თემებისათვის და მომთაბარე ძირეული ხალხებისათვის.
- 6.7. სახელმწიფოებმა უნდა წახალისონ შემსრულებელი დაწესებულებები, სასამართლო ორგანოები მომსახურების კულტურისა და ეთიკური ქცევის ჩამოყალიბებისათვის. დაწესებულებები და სასამართლო ორგანოები უნდა ისწრაფოდნენ მხარი დაუჭირონ უკუკავშირს, მაგალითად, გამოკითხვის ან მიზნობრივ აუდიტორიასთან მუშაობის გზით, რათა აამაღლონ სტანდარტები და გააუმჯობესონ გაწეული მომსახურება და დააკმაყოფილონ ახალი მოთხოვნილებები. მათ უნდა გამოაქვეყნონ მწარმოებლობის სტანდარტები და რეგულარულად მოახდინონ მუშაობის შედეგების შეტყობინება. მომხმარებლებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ შეიტანონ საჩივრები თვით შემსრულებელი დაწესებულებების მიერ განსახილველად, მაგალითად, ადმინისტრაციული განხილვის ფარგლებში, ან გარე მონაწილეების – დამოუკიდებელი ექსპერტიზის ან ომბუდსმენის – ჩაბმით.
- 6.8. შესაბამის პროფესიულ ასოციაციებმა, რომლებიც დაკავებულნი არიან მომსახურებით და კავშირი აქვთ ფლობისა და სარგებლობის საკითხებთან, უნდა შეიმუშაონ და გაავრცელონ ქცევის მაღალეთიკური სტანდარტები და განახორციელონ მათი შესრულების მონიტორინგი. სახელმწიფო დაწესებულებებმა და კერძო სექტორის ორგანიზაციებმა უნდა დაიცვან გამოსაყენებელი ეთიკური სტანდარტები, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში – გატარდეს მათდამი მკაცრი დისციპლინარული ზომები. იქ, სადაც ასეთი ასოციაციები არ არსებობს, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათი დაწესებულებებისათვის სასურველი პირობები.
- 6.9. სახელმწიფოები და არასახელმწიფო სტრუქტურების უნდა ისწრაფოდნენ ფლობისა და სარგებლობის საკითხებში კორუფციის აღმოფხვრისაკენ. სახელმწიფოებმა ეს უნდა გააკეთონ კონსულტაციების ჩატარების და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის, სამართლის უზენაესობის, გამჭვირვალებისა და ანგარიშგების უზრუნველყოფით. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ანტიკორუფციული

ღონისძიებები და უზრუნველყონ მათი შესრულება, მათ შორის გამოიყენონ შეკავებისა და საპირისპირო სისტემები, შეზღუდონ თვითნებობა უფლებამოსილებათა რეალიზაციაში, გადაჭრან ინტერესთა კონფლიქტები და მიიღონ მკაფიო წესები და ნორმები. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შემსრულებელი დაწესებულებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ადმინისტრაციული და/ან სასამართლო გადახედვის პროცედურების არსებობა. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს იმ პერსონალის პასუხისმგებლობა თავიანთ მოქმედებებზე, რომელთა კომპეტენციის სფეროშიც შედის ფლობისა და სარგებლობის საკითხები. მან უნდა მისცეს საშუალებები თავიანთი მოვალეობების ეფექტიანი შესრულებისათვის. უნდა უზრუნველყოს დაცვა დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში ჩარევისაგან და კორუფციის ფაქტებზე ინფორმირებისათვის შურისძიებისაგან.

ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებით იურიდიული აღიარება და უფლებებისა და მოვალეობების მინიჭება

ეს ნაწილი ეძღვნება მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის რეგულირების საკითხებს ძირეული ხალხეობის თემების და სხვა თემების, ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემებით, ფლობისა და სარგებლობის არაფორმალიზებული უფლებების, აგრეთვე სახელმწიფო მფლობელობაში არსებული და მის მიერ კონტროლირებადი მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებების თავდაპირველად მინიჭების ასპექტში.

7. გარანტიები

- 7.1. მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებების აღიარების ან ასეთი უფლებების მინიჭებისას სახელმწიფოებმა, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს გარკვეული გარანტიები, რათა არ დაუშვას სხვა პირების ფლობისა და სარგებლობის უფლებების შელახვა ან ანულირება, მათ შორის ფლობისა და სარგებლობის უფლებების, რომლებიც ამ დროისათვის კანონით არაა დაცული. ასეთმა გარანტიებმა უნდა დაიცვან განსაკუთრებით ქალები და მოწყვლადი პირები, რომელთაც აქვთ ფლობისა და სარგებლობის მეორადი უფლებები, მაგალითად, უფლება მოგროვებაზე.
- 7.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა ყველა მოქმედება, რომლებიც ეხება ფლობისა და სარგებლობის უფლებების სამართლებრივ აღიარებას და ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების მინიჭება ხორციელდებოდეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და ნებაყოფლობითი ვალდებულებების სათანადო გათვალისწინებით გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში.
- 7.3. იქ, სადაც სახელმწიფოები განიზრახავენ აღიარონ ფლობისა და სარგებლობის უფლებები ან მიანიჭონ ისინი, ჯერ უნდა დადგინდეს ფლობისა და სარგებლობის ყველა არსებული უფლება, როგორც დაფიქსირებული, ისე დაუფიქსირებელი და შესაბამისი უფლებამოსილი პირები. 3.6 და 9.9 პუნქტების დებულებების შესაბამისად, კონსულტაციების პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ ძირეული ხალხების თემები და სხვა თემები ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემებით, წვრილი მესაკუთრეები და მოსარგებლეები და ნებისმიერი სხვა პირები, რომელთაც შეიძლება ეს შეეხოთ. 4.9 პუნქტის დებულებების შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა დაუშვან მართლმსაჯულებასთან ის პირები, რომლებიც თვლიან, რომ მათი უფლებებისა ფლობასა და სარგებლობაზე არაა აღიარებული.
- 7.4. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ქალები და კაცები, რათა ისინი თანაბარი

უფლებით სარგებლობდნენ ფლობისა და სარგებლობის ახლად აღიარებული უფლებებით და აგრეთვე ასეთი უფლებების რეგისტრაციით. სადაც ეს შესაძლებელია, ცალკეული პირების, ოჯახებისა და თემების ფლობისა და სარგებლობის უფლებების სამართლებრივი აღიარება, აგრეთვე ასეთი უფლებების მინიჭება უნდა განხორციელდეს სისტემურად, ერთი რაიონიდან მეორეში გადასვლით, გამომდინარე ეროვნული პრიორიტეტებიდან, რათა მოსახლეობის ღარიბ და მოწყვლად ფენებს მიეცეთ ფლობისა და სარგებლობის მათი უფლებების სამართლებრივი აღიარების მოპოვების საშუალება. საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს სამართლებრივი მხარდაჭერა, განსაკუთრებით მოსახლეობის ღარიბი და მოწყვლადი ფენებისათვის. ფლობისა და სარგებლობის უფლებების პირველადი რეგისტრაციისას, მათ შორის ფლობისა და სარგებლობის უფლებების კარტირებისას, გამჭვირვალობის ასამაღლებლად საჭიროა გამოყენებული იყოს ადგილობრივი პირობების შესატყვისი მიდგომები.

- 7.5. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანები, რომელთა ფლობისა და სარგებლობის უფლებები აღიარებულია ან რომელთაც მიენიჭათ ფლობისა და სარგებლობის ახალი უფლებები, ფლობდნენ სრულ ინფორმაციას თავიანთი უფლებების და მოვალეობების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოებმა მხარდაჭერა უნდა გაუწიონ ასეთ ადამიანებს, რათა მათ შეეძლოთ ისარგებლონ ფლობისა და სარგებლობის თავიანთი უფლებებით და შეასრულონ თავიანთი მოვალეობები.
- 7.6. იქ, სადაც არაა შესაძლებელი ფლობისა და სარგებლობის უფლებების სამართლებრივი აღიარება, სახელმწიფოებმა თავი უნდა აარიდონ იძულებით გამოსახლებას, რაც არ შეესაბამება მათ მოქმედ ვალდებულებებს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების დებულებებს.

8. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის, თევზებისა და ტყის რესურსები

- 8.1. იქ, სადაც სახელმწიფოებს ეკუთვნის ან მათი კონტროლის ქვეშაა მიწის, თევზებისა და ტყის რესურსები, მათ უნდა დაადგინონ ამ რესურსებით სარგებლობისა და მათი კონტროლის წესები სოციალური, ეკონომიკური და ბუნების დაცვის შედარებით უფრო ფართო კონტექსტში. მათ უნდა უზრუნველყონ, რათა ყველა ქმედება ხორციელდებოდეს მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად გამოყენებული ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში.
- 8.2. იქ, სადაც სახელმწიფოებს ეკუთვნის ან მათი კონტროლის ქვეშაა მიწის, თევზებისა და ტყის რესურსები, მათ უნდა აღიარონ, პატივი სცენ და დაიცვან ცალკეულ პირთა და თემების, მათ შორის სადაც ეს მიღებულია, ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე თემების ფლობისა და სარგებლობის კანონიერი

უფლებები, მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად გამოყენებული ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში. ამ მიზნით, გამჭვირვალე პროცესისა და ეროვნული საკანონმდებლო დებულებების ფარგლებში საჭიროა ნათლად განისაზღვროს და გასაჯაროვდეს ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებების კატეგორიები.

- 8.3. მიიღება რა მხედველობაში სახელმწიფოს კუთვნილი მიწის, თევზებისა და ტყის რესურსები, რომლებიც არის კოლექტიურ სარგებლობაში და მართვაში (ცალკეული ქვეყნების კონტექსტში ისინი განისაზღვრება როგორც სათემო), სახელმწიფოებმა, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა აღიაროს დაიცვას სახელმწიფოს კუთვნილი მიწის, თევზებისა და ტყის ასეთი რესურსები და კოლექტიური სარგებლობისა და მართვის შესაბამისი სისტემები, მათ შორის სახელმწიფოს მიერ რესურსების გამოყოფის პროცესში.
- 8.4. სახელმწიფოების უნდა მიისწრაფოდნენ, რათა დააფიქსირონ აქტუალური ინფორმაცია მათი კუთვნილი და მათ მიერ კონტროლირებადი მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის შესახებ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი აღწერების და მათი რეგულარულად განახლების გზით. ამ აღწერებში უნდა მიეთითოს რეგულირებაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები, აგრეთვე ძირეული ხალხების თემების და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების, კერძო სექტორის ფლობისა და სარგებლობის ყველა კანონიერი უფლება. შეძლებისდაგვარად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ფლობისა და სარგებლობის სახელმწიფო უფლებების ასახვა აღრიცხვის ერთიან სისტემაში, ძირეული ხალხების თემების და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების, აგრეთვე კერძო სექტორის ფლობისა და სარგებლობის უფლებებთან ერთად, ან დააკავშიროს ისინი ერთიანი მექანიზმის ფარგლებში.
- 8.5. სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ, მათი კუთვნილი ან მათ მიერ კონტროლირებადი რომელი მიწის, თევზებისა და ტყის რესურსები იქნება დატოვებული სახელმწიფო სექტორის სარგებლობაში და რომლები გადაეცემა სარგებლობაში სხვა პირებს და რა პირობებით.
- 8.6. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და გაასაჯაროონ სახელმწიფო სექტორის ფარგლებში დარჩენილი მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებით სარგებლობის და მათზე კონტროლის წესები. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, რათა შეიმუშაონ წესები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებიდან შემოსული სარგებლობის სამართლიან განაწილებას. ამ პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა პირების ფლობისა და სარგებლობის უფლებები და წინამდებარე დოკუმენტში გაცხადებული კონსულტაციების ჩატარებისა და მათში მონაწილეობის პრინციპების შესატყვისად კონსულტაციების პროცესში ჩართოს ყველა, ვისაც შეიძლება შეეხოს შესაბამისი

გადაწყვეტილებები. ასეთი რესურსების ადმინისტრაციული მართვა და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციები უნდა განხორციელდეს სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ფარგლებში წესებია, რომლებიც უზრუნველყოფს ეფექტიანობას, გამჭვირვალობას და ანგარიშგებას.

- 8.7. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და გაასაჯაროონ სხვა პირთათვის ფლობისა და სარგებლობის უფლებების მინიჭების წესები, აგრეთვე, როცა ეს მიზანშეწონილია, ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების უფლებამოსილებათა დელეგირების წესები. ფლობისა და სარგებლობის უფლებების მინიჭების წესები უნდა შეესატყვისებოდეს უფრო ფართო თვალსაზრისი სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ამოცანებს. ფლობისა და სარგებლობის უფლებების გადანაწილებისას ჯეროვნად უნდა იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი თემების ინტერესები, რომლებიც ტრადიციულად სარგებლობდნენ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებით. წესებში გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა პირების ფლობისა და სარგებლობის უფლებები და კონსულტაციებში, ერთობლივ მუშაობაში და გადაწყვეტილებათა მიღებაში ჩართული იყოს ყველა, ვისაც შეიძლება შეეხოს ასეთი გადაწყვეტილება. ასეთი წესები უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ ფლობისა და სარგებლობის უფლებების მიცემა არ დაემუქროს ადამიანთა საარსებო წყაროებს, მითითებულ რესურსებთან კანონიერი ხელმისაწვდომობის ჩამორთმევით.
- 8.8. სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან მისცენ ფლობისა და სარგებლობის უფლებები სხვადასხვა ფორმით, შეზღუდული სარგებლობიდან სრულ საკუთრებამდე. წესებში უნდა იქნეს აღიარებული სარგებლობის უფლებების და უფლებამფლობელთა სხვადასხვა კატეგორიები. წესებში კონკრეტიზებული უნდა იყოს უფლებათა მინიჭების წესები, მაგალითად, გამომდინარე ისტორიულად ჩამოყალიბებული სარგებლობით თან სხვა წესით. აუცილებლობის შემთხვევაში პირებს, რომელთაც ეძლევათ ფლობისა და სარგებლობის უფლებები, უნდა გაეწიოთ დახმარება, რათა მათ შეეძლოთ თავიანთი უფლებების რეალიზება. სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ, შეინარჩუნებენ თუ არა მიწის, თევზებისა და ტყის იმ რესურსებზე კონტროლის რაიმე სახის ფორმას, რომელთა ფლობისა და სარგებლობის უფლებები ეძლევათ სხვა პირებს.
- 8.9. სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ფლობისა და სარგებლობის უფლებების მინიჭება და ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირებაზე პასუხისმგებლობის დელეგირება გამჭვირვალედ, ფართო თანამონაწილეობის და მარტივი პროცედურების გამოყენებით, რომლებიც უნდა იყოს ნათელი, ხელმისაწვდომი და გასაგების ყველასათვის, პირველ რიგში ძირეული ხალხების თემებისათვის და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემებისათვის. ყველა პოტენციურ მონაწილეს საჭიროა მიეცეს ინფორმაცია გამოყენებულ ენებზე, მათ შორის გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით. სახელმწიფოებმა, შეძლებისდაგვარად, უნდა უზრუნველყონ, რათა გადაცემული ფლობისა და

სარგებლობის უფლებები მაშინვე იყოს დოკუმენტირებული და შეტანილი ფლობისა და სარგებლობის ერთიან რეესტრში, ფლობისა და სარგებლობის სხვა უფლებებთან ერთად, ან დაკავშირებული იქნეს მათთან ერთიანი სისტემის ფარგლებში. სახელმწიფოების და არასახელმწიფო სტრუქტურები შემდგომშიც უნდა ისწრაფოდნენ კორუფციის თავიდან აცილებისაკენ ფლობისა და სარგებლობის უფლებების მიცემის საკითხებში.

- 8.10. რამდენადაც იძლევა შესაძლებლობას რესურსები, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებზე პასუხისმგებელი რწმუნებული ორგანოები ადამიანური, ფიზიკური, ფინანსური და სხვა პოტენციალით. იქ; სადაც ხორციელდება ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების რწმუნებულებათა დელეგირება, პირებმა, რომელთაც ეს ეკისრებათ, უნდა გაიარონ სწავლება და მიიღონ ამ რწმუნებულებათა შესრულებისათვის საჭირო სხვა დახმარება.
- 8.11. სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ უფლებათა მინიჭების პროგრამების შედეგების მონიტორინგი, მათ შორის სასურსათო უსაფრთხოების და სიღარიბის ლიკვიდაციის თვალსაზრისით, გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით, აგრეთვე სოციალურ, ეკონომიკურ სფეროებში და გარემოს დაცვაში დაყენებული მიზნების მისაღწევად, და საჭიროებისდა მიხედვით მიიღონ მაკორექტირებელი ზომები.

9. ძირეული ხალხების თემები და სხვა თემები ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემებით

- 9.1. სახელმწიფომ და ყველა არასახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა აღიარონ, რომ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებს აქვთ სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკური და პოლიტიკური ფასეულობა ძირეული ხალხების თემებისა და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემებისათვის.
- 9.2. ძირეული ხალხების და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემებმა, რომლებიც ახორციელებენ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების თვითმმართველობას, ხელი უნდა შეუწყონ ამ რესურსებზე სამართლიანი, გარანტირებული და მდგრადი უფლებების წინ წამოწევას და მინიჭებას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალებისათვის ამ უფლებებზე ხელმისაწვდომობას. ადგილობრივი და ტრადიციული ინსტიტუტების, მათ შორის კოლექტიური ფლობისა და სარგებლობის სისტემების მეშვეობით უნდა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები თემთა ყველა წევრის, მამაკაცების, ქალებისა და ახალგაზრდობისათვის იმ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისათვის, რომლებიც ეხება მათი ფლობისა და სარგებლობის სისტემებს. აუცილებლობის შემთხვევაში თემებს უნდა გაეწიოთ დახმარება მათი პოტენციალის განსამტკიცებლად, რათა მათ შეეძლოთ სრულად მიიღონ მონაწილეობა თავიანთი ფლობისა და სარგებლობის სისტემების რეგულირების და მათზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
- 9.3. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მოქმედება ხორციელდებოდეს

რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში მათი ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით. ძირეული ხალხების შემთხვევაში სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ თავიანთი შესაბამისი ვალდებულებები და ნებაყოფლობითი შეთანხმებები ადამიანის უფლებათა დაცვის, წინ წაწევის რეალიზაციის შესახებ, შესაბამის შემთხვევებში ვალდებულებები, გამომდინარე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციიდან (№169) ძირეული ხალხებისა და დამოუკიდებელ ქვეყნებში ცხოვრების ტომობრივი წესებით მცხოვრების ხალხების შესახებ, კონვენციიდან ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ და ძირეული ხალხების უფლებათა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციიდან.

- 9.4. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ძირეული ხალხების თემების და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების კანონიერი უფლებების აღიარება და დაცვა ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით. ასეთმა აღიარებამ მხედველობაში უნდა იღებდეს მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებს, რომლებითაც სარგებლობენ თემები როგორც მარტოოდენ, ისე სხვა მოსარგებლეებთან ერთად და უნდა შეესაბამებოდეს საპასუხისმგებლო რეგულირების საერთო პრინციპებს. ინფორმაცია ნებისმიერი ასეთი აღიარების შესახებ უნდა გასაჯაროვდეს ხელმისაწვდომ ადგილზე, შესაბამისი ფორმით, გამოყენებულ ენებზე, გასაგებად.
- 9.5. იქ, სადაც ძირეული ხალხების და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემებს აქვთ საგვარეულო და მემკვიდრეობითი მიწების, რომლებზეც ისინი ცხოვრობენ, ფლობისა და სარგებლობის უფლებები, სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ და დაიცვან ასეთი უფლებები. ძირეული ხალხების და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემები ძალდატანებით არ უნდა იქნენ გამოსახლებული ასეთი საგვარეულო და მემკვიდრეობითი მიწებიდან.
- 9.6. ძირეული ხალხებისა და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების ფლობისა და სარგებლობის სისტემის აღიარებისათვის სახელმწიფოებს შეიძლება დასჭირდეთ თავიანთი პოლიტიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების ადაპტაცია. იქ, სადაც კონსტიტუციური ან სამართლებრივი რეფორმები აფართოებენ ქალთა უფლებებს, რის შედეგადაც ასეთი უფლებები კონფლიქტში მოდის ტრადიციებთან, ყველა მხარე ერთობლივად უნდა ისწრაფოდეს, ეს ცვლილებები აისახოს ფლობისა და სარგებლობის ტრადიციულ სისტემებში.
- 9.7. წესებისა და კანონების შემუშავებისას სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ

სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკური და ეკოლოგიური ფასეულობა მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებისა, რომელთა ფლობა და სარგებლობა ხდება ძირეული ხალხებისა და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების ფლობისა და სარგებლობის სისტემების საფუძველზე. წესებისა და კანონების შემუშავებისას, რომლებიც ეხება ძირეული ხალხებისა და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების ფლობისა და სარგებლობის სისტემებს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ თემების ყველა წევრის ან მათი წარმომადგენლების სრული და რეალური მონაწილეობა, რომელთაც ეს ეხება, სოციალურად მოწყვლად და განცალკევებულთა ჩათვლით.

- 9.8. სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ძირეული ხალხებისა და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემები მათი მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების სხვათა მიერ არამართლზომიერი სარგებლობისაგან. თუ თემი არაა წინააღმდეგი, სახელმწიფომ თანადგომა უნდა გაუწიოს მას თემის მიერ გამოყენებული და კონტროლირებადი მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ოფიციალურ დოკუმენტირებაში და მათ მახასიათებლებსა და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. იქ, სადაც ძირეული ხალხებისა და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების ფლობისა და სარგებლობის უფლებები დოკუმენტირებულია ოფიციალურად, შემხვედრი პრეტენზიების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ისინი შეტანილი იყოს ერთიან რეესტრში ფლობისა და სარგებლობის სხვა სახელმწიფო, კერძო და თემურ უფლებებთან ერთად.
- 9.9. ვიდრე დაიწყებოდეს რაიმე პროექტი, აგრეთვე საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული ღონისძიებების მიღებისა და განხორციელების წინ, რომლებიც ეხება რესურსებს, რომლებზეც უფლებები ეკუთვნის თემებს, სახელმწიფოებმა და სხვა მხარეებმა საჭიროა ჩაატარონ კეთილსინდისიერი კონსულტაციების ძირეულ ხალხებთან. ასეთი პროექტები უნდა ეფუძნებოდეს ეფექტიან და შინაარსიან კონსულტაციებს ძირეულ ხალხებთან, განხორციელებულს მათი წარმომადგენელი ინსტიტუტების მეშვეობით, რათა ძირეული ხალხების უფლებებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის დებულებების შესაბამისად, მათგან მიღებულ იქნეს თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა, ცალკეული სახელმწიფოების დამახასიათებელი პოზიციებისა და გაგებების თავისებურებების სათანადოდ გათვალისწინებით. კონსულტაციები და გადაწყვეტილებების მიღების პროცესები ორგანიზებული უნდა იყოს ზეწოლის გარეშე და ჩატარდეს ნდობის ატმოსფეროში. ამ განაკვეთში მოხსენიებული სხვა თემების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს კონსულტაციების ჩატარებისა და მათში მონაწილეობის პრინციპები, გადმოცემული პუნქტში 3ბ.6.
- 9.10. აუცილებლობის შემთხვევაში სახელმწიფოებმა და არასახელმწიფო სტრუქტურებმა დაინტერესებული თემების წარმომადგენელ ინსტიტუტებთან ერთად და დაინტე-

რესებული თემებთან თანამშრომლობით უნდა გაუწიონ ტექნიკური და სამართლებრივი დახმარება დაინტერესებულ თემებს წესების, კანონების და პროექტების დამუშავებაში მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად არადისკრიმინაციულ საფუძველზე და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით.

9.11. სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ და შექმნან სასურველი პირობები იმ ტრადიციული მიდგომების განსავითარებლად, რომლებსაც იყენებენ ძირეული ხალხებისა და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემები, ფლობისა და სარგებლობის სისტემასთან დაკავშირებული თემის შიდა კონფლიქტების გადასაჭრელად, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით. საჭიროა განმტკიცდეს ან შემუშავდეს თემებს შორის კონფლიქტების გადაჭრის საშუალებები მიწის, თევზებისა და ტყის იმ რესურსების გამო, რომლებითაც სარგებლობს ერთზე მეტი თემი.

9.12. სახელმწიფოები და არასახელმწიფო სტრუქტურების უნდა ისწრაფოდნენ კორუფციის თავიდან აცილებისაკენ ძირეული ხალხებისა და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების ფლობის სისტემების საკითხებში, კერძოდ, კონსულტაციებისა და მონაწილეობის გაფართოების მეშვეობით, აგრეთვე თემების შესაძლებლობების გაფართოების გზით.

9. არაფორმალიზებული ფლობა და სარგებლობა

10.1. იქ, სადაც არსებობს მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის არაფორმალიზებული უფლებები, სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ მათი არსებობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეროვნულ კანონმდებლობაში ოფიციალურად ფიქსირებული არსებული უფლებების პატივისცემა, აგრეთვე რეალური მდგომარეობის აღიარება და სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური კეთილდღეობისათვის სასურველი პირობების შექმნასთან ერთად. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ფლობისა და სარგებლობის ასეთი არაფორმალიზებული უფლებების უზრუნველყოფელი წესებისა და კანონების მიღებას. ასეთი წესებისა და კანონების დადგენის პროცესი უნდა აიგოს ფართო მონაწილეობის და გენდერული ფაქტორების გათვალისწინების პრინციპებზე; იგი გამიზნული უნდა იყოს დაინტერესებული თემებისა და პირებისათვის ტექნიკური და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე. კერძოდ, სახელმწიფოებმა უნდა სცნონ მასობრივი მიგრაციული პროცესების შედეგად ფლობისა და სარგებლობის არაფორმალიზებული უფლებების წარმოქმნა.

10.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მოქმედება არაფორმალიზებული ფლობისა და სარგებლობის მიმართ სრულდებოდეს მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და

გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით, ღირსეულ საცხოვრებელზე უფლების უზრუნველყოფის ჩათვლით შესაბამის შემთხვევებში.

- 10.3. სახელმწიფოების მხრიდან არაფორმალიზებული ფლობისა და სარგებლობის სამართლებრივი აღიარება საჭიროა განხორციელდეს ფართო მონაწილეობის პრინციპებზე და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით, განსაკუთრებული პატივისცემით ფლობისა და სარგებლობის სუბიექტების მიმართ. ამასთან, სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ფერმერებს და სურსათის მცირე მწარმოებლებს. ეს პროცესები უნდა ამარტივებდნენ წვდომას ლეგალიზაციის მომსახურებებზე და ამცირებდნენ ხარჯებს. სახელმწიფო უნდა მიისწრაფოდეს თემებისა და მონაწილეებისათვის ტექნიკური და სამართლებრივი მხარდაჭერისაკენ.
- 10.4. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შეიზღუდოს არაფორმალური ფლობისა და სარგებლობის პრაქტიკა, რაც წარმოიქმნება ზედმეტად რთული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მოთხოვნებით, რომლებიც წაეყენება მიწათსარგებლობის დანიშნულების ცვლილებისას და მშენებლობისას. მოთხოვნები მშენებლობისადმი და ნებართვების მიღების პროცესები უნდა ნათელი, მარტივი და ფინანსურად არადაამძიმებელი, რაც შეამსუბუქებს მათ შესრულებას.
- 10.5. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ კორუფციის აღმოფხვრისაკენ, კერძოდ, დიდი გამჭვირვალობის, გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა ანგარიშგების უზრუნველყოფის და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების გადაუდებლად მიღების გზით.
- 10.6. იქ, სადაც შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს არაფორმალიზებული ფლობისა და სარგებლობის სამართლებრივი აღიარება, სახელმწიფოები უნდა აერიდონ იძულებით გამოსახლებას, რაც არღვევს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის, აგრეთვე მე-16 განყოფილების დებულებების ფარგლებში მოქმედ ვალდებულებებს.

ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა და მათში სხვა ცვლილებების შეტანა

ეს ნაწილი ეძღვნება მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის რეგულირების საკითხებს არსებული უფლებების და მათთან დაკავშირებული მოვალეობების გადაცემისას და ან გადანაწილებისას, გამოწვეულს ნებაყოფლობით ან იძულებით, ბაზრების მეშვეობით, ინვესტიციებით განპირობებული გარიგებით ფლობისა და სარგებლობის უფლებებზე, მიწის ნაკვეთების გამსხვილებით და რეგულირების სხვა მეთოდებით, რესტიტუციით, გადამანაწილებელი რეფორმებით ან ექსპროპრიაციით.

11. ბაზრები

11.1. იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ გაყიდვებისა და იჯარის სამართლიანი და გამჭვირვალე ბაზრების არსებობა, როგორც მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებების გადაცემის მექანიზმის და გაადვილოს ასეთი ბაზრების ფუნქციონირება. იქ, სადაც არსებობს ფლობისა და სარგებლობის უფლებების ბაზრები, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა ყველა მოქმედება სრულდებოდეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით. მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებებზე გარიგებები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ ნორმატიულ აქტებს მიწათსარგებლობის სფეროში და არ უნდა დააყენონ საფრთხის წინაშე განვითარების ძირითადი მიზნების მიღწევა.

11.2. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ბაზრების ეფექტიან და გამჭვირვალე ფუნქციონირებას ფლობისა და სარგებლობის უფლებების ურთიერთსასარგებლო გადაცემაში მონაწილეობას თანაბარ პირობებში და თანაბარი შესაძლებლობებით, რაც შეამცირებს კონფლიქტებისა და არასტაბილურობის რისკებს, ხელს შეუწყობს მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების მდგრად გამოყენებას და გარემოს დაცვას; ხელს შეუწყობს მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებთან დაკავშირებული გენეტიკური რესურსების სამართლიან და თანაბარუფლებიან გამოყენებას დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად; ხელს შეუწყობს ეკონომიკური შესაძლებლობების და მოსახლეობის ღარიბი ფენების მონაწილეობის გაფართოებას. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადგილობრივი თემების, ძირეული ხალხებისა და მოწყვლადი ჯგუფებისათვის არასასურველი შედეგები, რომელთაც შეიძლება გამოიწვიონ მიწებით სპეკულაცია, მიწების კონცენტრაცია

და ბოროტმოქმედება ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული ფორმების სფეროში. სახელმწიფოებმა და სხვა მხარეებმა უნდა აღიარონ, რომ ფასეულობები, ისეთი, როგორიცაა სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური ფასეულობები, ყოველთვის ეფექტიანად არაა დაცული არარეგულირებად ბაზრებზე. შესაბამისი წესებისა და კანონების საშუალებით ფლობისა და სარგებლობის უფლებების სფეროში სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან საზოგადოებრივი ინტერესების უფრო ფართო წრე.

- 11.3. სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ წესები, კანონები, შექმნან მარეგულირებელი სისტემები და ორგანოები საბაზრო ოპერაციების გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, არადისკრიმინაციულ საფუძველზე ხელმისაწვდომობის მისაცემად და არაკონკურენტული პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფოებმა უნდა გაამარტივონ ადმინისტრაციული პროცედურები, რათა აღმოიფხვრას წინააღმდეგობები ბაზრის ფუნქციონირებაში საზოგადოების ღარიბი და ყველაზე მოწყვლადი ფენების მონაწილეობაში.
- 11.4. სახელმწიფოებმა და სხვა მხარეებმა, პირადი ცხოვრების დაცვით დადებული შეზღუდვების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყონ საბაზრო გარიგებებზე და საბაზრო ღირებულებაზე ინფორმაციის გამჭვირვალობა და ფართოდ გავრცელება. სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ამ ინფორმაციის მონიტორინგი და მიიღოს ზომები იმ შემთხვევებში, როცა ბაზარი ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ან ხელს უშლის მის საქმიანობაში ფართო და სამართლიან მონაწილეობას.
- 11.5. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან რეგისტრაციის სათანადო და საიმედო სისტემები ფლობისა და სარგებლობის უფლებების დაცვის გასაძლიერებლად, ხარჯების და საოპერაციო რისკების შესამცირებლად, მაგალითად, მიწის კადასტრები, რომლებიც გასცემენ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებზე.
- 11.6. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებების დაცვის გარანტიები მეუღლეების, ოჯახის წევრების და აგრეთვე სხვა პირებისათვის, რომლებიც არ არიან მითითებულნი ფლობისა და სარგებლობის უფლებების მფლობელებად აღრიცხვის ისეთ სისტემებში, როგორიცაა მიწის კადასტრები.
- 11.7. სახელმწიფოები და არასახელმწიფო სტრუქტურები უნდა მისდევდნენ გამოყენებულ ეთიკურ სტანდარტებს. მათ უნდა გამოაქვეყნონ ეს სტანდარტები და თვალყური ადევნონ ბაზრების მუშაობაში მათ დაცვას, რათა თავიდან აცილებულ იქნეს კორუფცია, კერძოდ, შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროების მეშვეობით.
- 11.8. ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოებისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფაში მცირე მეწარმეთა მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, სახელმწიფოებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებული გარიგებების საბაზრო ოპერაციების გაიოლების პროცესში ჯეროვნად იქნეს დაცული მცირე მეწარმეთა ფლობისა და სარგებლობის უფლებები.

12. ინვესტიციები

- 12.1. სახელმწიფოებმა და არასახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა აღიარონ, რომ საპასუხისმგებლო სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ სასურსათო უსაფრთხოების დონის ამაღლებაში. მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებები საკითხების საპასუხისმგებლო რეგულირება წახალისებს ფლობისა და სარგებლობის უფლებების მფლობელებს ამ რესურსებში საპასუხისმგებლო ინვესტიციების განხორციელებაზე, რაც თავის მხრივ იწვევს მდგრადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას და შემოსავლების გადიდებას. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სასურველი პირობები და მხარი დაუჭირონ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებში საპასუხისმგებლო ინვესტიციების განხორციელებას, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა სისტემებში უზრუნველყოფს უფრო ფართო მხარდაჭერას მიზნების მისაღწევად სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროებში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა ქმედება სრულდებოდეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით.
- 12.2. იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებად ქვეყნებში წვრილ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებზე და მათ ორგანიზაციებზე მოდის სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ძირითადი ნაწილი, რაც არის მნიშვნელოვანი წილი სასურსათო უსაფრთხოების, კვების, სიღარიბის ლიკვიდაციისა და გარემოს მდგრადობის ამაღლების უზრუნველყოფაში, სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ წვრილი ფერმერების ინვესტიციებს, ისევე როგორც სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებს, რომლებიც შეეხება წვრილ ფერმერებს.
- 12.3. ფლობისა და სარგებლობის უფლებების შესახებ გარიგებების ყველა ფორმა, რომლებიც მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებში ინვესტიციების შედეგია, უნდა იყოს გამჭვირვალე და განხორციელდეს შესაბამის დარგში ეროვნული პოლიტიკის გათვალისწინებით და სოციალური და ეკონომიკური ზრდის და მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, წვრილი ფერმერების ინტერესებზე აქცენტით.
- 12.4. საპასუხისმგებლო ინვესტიციებმა არ უნდა მიაყენონ ზარალი, მათ გარანტია უნდა მისცენ ფლობისა და სარგებლობის უფლებების კანონიერ მფლობელებს მათ შენარჩუნებაზე; ასეთი ინვესტიციები არ უნდა დააზიანონ გარემო და უნდა ხორციელდებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვით. ასეთი ინვესტიციები უნდა განხორციელდეს მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებების სახელმწიფო და ადგილობრივ მფლობელებთან პარტნიორობით და ფლობისა და სარგებლობის მათი კანონიერი უფლებების პატივისცემით. ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ისეთი პოლიტიკური მიზნების მიღწევას, როგორიცაა: სიღარიბის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და მიწის, თევზებისა და

ტყის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა, ადგილობრივი თემების მხარდაჭერა, სასოფლო რაიონების განვითარების ხელშეწყობა, სურსათის წარმოების ადგილობრივი სისტემების განვითარება და განმტკიცება, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გააქტიურება, სამუშაო ადგილების შექმნა, არსებობის საშუალებათა წყაროების დივერსიფიკაცია, კეთილდღეობის შექმნა ქვეყნისა და მისი ხალხისათვის, მათ შორის მოსახლეობის ღარიბი და ყველაზე მოწყვლადი ფენებისათვის, შესაბამისობა ეროვნულ კანონებთან და შრომის საერთაშორისო ნორმებთან, ხოლო შესაბამის შემთხვევებში იმ ვალდებულებებთან, რომლებიც ეხება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს.

- 12.5. სათანადო კონსულტაციების ჩატარების საფუძველზე და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ გამჭვირვალე წესები, მარეგლამენტირებელი მასშტაბები, ფლობისა და სარგებლობის უფლებების სფეროში დასაშვები გარიგებების საგანი და ხასიათი ლა განისაზღვროს, თუ სახელდობრ როგორი გარიგებები უნდა ჩაითვალოს მსხვილად ფლობისა და სარგებლობის უფლებების სფეროში, მოცემული ქვეყნის კონტექსტში.
- 12.6. სახელმწიფოებმა უნდა მისცენ ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებების, ადამიანთა უფლებების, არსებობის საშუალებათა არსებობის, სასურსათო უსაფრთხოების და გარემოს დაცვის გარანტია რისკებისაგან, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მსხვილ გარიგებებთან ფლობისა და სარგებლობის უფლებების სფეროში. ასეთი გარანტიები შეიძლება მოიცავდეს გარკვეული შეზღუდვების დადგენას მიწის შესახებ ნებადართული გარიგებების მოცულობაზე და უფლებათა გადაცემის იმ გარიგებათა დამტკიცების განსაკუთრებულ წესებს, რომლებიც გაמודის დადგენილი მასშტაბებიდან, მაგალითად, ასეთი გარიგებების დამტკიცება პარლამენტის მიერ. სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ რიგი საწარმოო და საინვესტიციო მოდელების წამოწევის საკითხი, რომლებიც არ იწვევს ინვესტიციებისათვის ფლობისა და სარგებლობის უფლებების მსხვილმასშტაბიან გადაცემას და წახალისონ პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ფლობისა და სარგებლობის უფლებების ადგილობრივ მფლობელებთან.
- 12.7. ძირეული ხალხებისა და მათი თემების შემთხვევაში სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მოქმედება სრულდებოდეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით, შესაბამის შემთხვევებში კი იმ ვალდებულებების ჩათვლით, რომლებიც გამომდინარეობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციიდან (№169) ძირეული ხალხებისა და დამოუკიდებელ ქვეყნებში თემური ცხოვრების მიმდევარი ხალხების შესახებ და გარეთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციიდან ძირეული ხალხების უფლებების შესახებ. სანამ დაიწყება საინვესტიციო პროექტის განხორციელება,

რომელიც ეხება თემების კუთვნილ რესურსებს, სახელმწიფოებმა და სხვა მხარეებმა უნდა ჩაატარონ კეთილსინდისიერი კონსულტაციები ძირეულ ხალხებთან. ასეთი პროექტები უნდა ეფუძნებოდეს ეფექტიან და შინაარსობრივ კონსულტაციებს ძირეული ხალხების წარმომადგენლებთან, როგორც მითითებულია პუნქტში 9.9. იმ ინვესტიციების მიმართ, რომლებიც ითვალისწინებს სხვა თემების რესურსების გამოყენებას, უნდა იხელმძღვანელონ კონსულტაციების ჩატარებისა და მათში მონაწილეობის პრინციპებით, გაცხადებულით წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებში.

12.8. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებში გაცხადებული კონსულტაციების ჩატარებისა და მათში მონაწილეობის პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფოებმა ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად უნდა განსაზღვროს საპასუხისმგებლო ინვესტიციების ხელშემწყობი პირობები და შემდეგ შეიმუშაოს და გაასაჯაროოს წესები და კანონები, რომლებიც ხელს შეუწყობს საპასუხისმგებლო ინვესტიციების განხორციელებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას. ეს კანონები უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც დაავალდებულებენ მკაფიოდ გაიწეროს საინვესტიციო შეთანხმებებში შეთანხმების ყველა მხარის უფლებები და მოვალეობები. საინვესტიციო შეთანხმებები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს და საინვესტიციო კოდექსებს.

12.9. ინვესტიციებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია ფლობისა და სარგებლობის უფლებების გადაცემაზე გარიგების ნებისმიერ ფორმასთან, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების და პარტნიორობაზე შეთანხმებების ჩათვლით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კონსულტაციების ჩატარებისა და მათში მონაწილეობის პრინციპები, გაჟღერებული წინამდებარე დოკუმენტში, ყველას მიმართ, რომელთა ფლობისა და სარგებლობის უფლებები, მეორადი უფლებების ჩათვლით, შეიძლება აღმოჩნდეს დაზარალებული. სახელმწიფოებმა და სხვა მხარეებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ცალკეულ პირებს, ოჯახებს და თემებს მათი ფლობისა და სარგებლობის უფლებების შესახებ და ხელი შეუწყონ მათი პოტენციალის განვითარებას იმაში, რაც შეეხება კონსულტაციებს და მონაწილეობას, კერძოდ, აღმოუჩინონ მათ პროფესიული დახმარება საჭიროებისდა მიხედვით.

12.10. ინვესტიციების დაგეგმვისას, რომლებიც ითვალისწინებს მსხვილმასშტაბიან გარიგებებს ფლობისა და სარგებლობის სფეროში, ყიდვა-გაყიდვების ხელშეკრულებების და პარტნიორობაზე შეთანხმებების ჩათვლით, სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, რათა უზრუნველყოს სხვადასხვა მხარეებისათვის განსახილველი ინვესტიციების პოტენციური პოზიტიური და ნეგატიური შედეგების წინასწარი დამოუკიდებელი შეფასების ჩატარების შესაძლებლობა ფლობისა და სარგებლობის უფლებების, სასურსათო უსაფრთხოების და სათანადო კვებაზე უფლებების თანდათან განხორციელების, არსებობის საშუალებათა წყაროების და გარემოს დაცვის

თვალსაზრისით. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სისტემატური და მიუდგომელი გამოვლინება ფლობისა და სარგებლობის არსებული კანონიერი უფლებების და პრეტენზიების ასეთ უფლებებზე, მათ შორის ტრადიციული და არაფორმალური ფლობისა და სარგებლობისა, ისევე როგორც სხვა ადამიანების არსებობის უფლებები და წყაროები, მათ შორის წვრილი მეწარმეების, რომლებზეც შეიძლება აისახოს ეს ინვესტიციები. ეს პროცესი უნდა განხორციელდეს ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების ჩატარების მეშვეობით, წინამდებარე დოკუმენტში გაცხადებული კონსულტაციების ჩატარების და მონაწილეობის პრინციპების საფუძველზე. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთი ინვესტიციებმა რისკის ქვეშ არ დააყენოს ფლობისა და სარგებლობის არსებული კანონიერი უფლებები.

- 12.11. შეთანხმების მხარეებს საჭიროა წარედგინოს ყოველმხრივი ინფორმაცია, რომელიც საშუალებას იძლევა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობა და ინფორმირება მოლაპარაკებების პროცესში და რომ შეთანხმებები იყოს დოკუმენტურად გაფორმებული და გასაგები ყველა დაინტერესებული მხარისათვის. მოლაპარაკებების პროცესი უნდა იყოს არადისკრიმინაციული ხასიათის და ითვალისწინებდეს გენდერულ ფაქტორებს.
- 12.12. ინვესტორების ვალდებულნი არიან პატივი სცენ ეროვნულ კანონებს და კანონმდებლობას, სცნონ და პატივი სცენ სხვათა კუთვნილ ფლობისა და სარგებლობის უფლებებს, სცნონ უფლების უზენაესობა არასახელმწიფო სუბიექტების საერთო პრინციპის შესაბამისად, რომელიც გაცხადებულია წინამდებარე დოკუმენტში. ინვესტიციებმა ხელი არ უნდა შეუწყონ სასურსათო უსაფრთხოების არარსებობას და გარემოს დეგრადაციას.
- 12.13. სპეციალისტებმა, რომლებიც მომსახურებას უწევენ სახელმწიფოებს, ინვესტორებს და მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებების მქონეებს, მომსახურების გაწევის დროს, თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით უნდა გამოიჩინონ სათანადო წინდახედულება, დამოუკიდებლად იმისა, იყო თუ არა ეს წინასწარ შეთანხმებული სპეციალურად.
- 12.14. სახელმწიფოებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ შეთანხმებების შესრულებისა და შედეგების ეფექტიან მონიტორინგს, რომლებიც დაკავშირებულია მსხვილმასშტაბიან გარიგებებთან ფლობისა და სარგებლობის სფეროში, ყიდვა-გაყიდვების ხელშეკრულებების და პარტნიორობაზე შეთანხმებების ჩათვლით. შეთანხმებების შესრულების და ფლობისა და სარგებლობის უფლებების და სხვა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროა მიღებულ იქნეს მაკორექტირებელი ღონისძიებები და უზრუნველყოფილ იქნეს მექანიზმების არსებობა, რომელთა მეშვეობითაც დაზარალებულ მხარეებს შეეძლებათ მოითხოვონ ასეთი ღონისძიებების გატარება.
- 12.15. თუ სახელმწიფოები ახორციელებენ ინვესტიციებს საზღვარგარეთ ან ხდება ასეთი

ინვესტიციების წახალისება, მაშინ მათ უნდა უზრუნველყონ, რათა მათი ქცევა შესაბამისობაში იყოს ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებების დაცვის, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევის პრინციპებს, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით.

13. მიწის ნაკვეთების გამსხვილება და რეორგანიზაციის სხვა მეთოდები

- 13.1. შესაბამის შემთხვევებში, მფლობელთა და მომხმარებელთა დასახმარებლად მიწის ნაკვეთების კონფიგურაციის გაუმჯობესებაში ან მათ ფლობაში, მათ შორის სასურსათო უსაფრთხოებისა და სასოფლო რაიონების მდგრადი განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს უფლება აქვთ მიმართონ მიწის ნაკვეთების გამსხვილებას, გაცვლას და მიწის ნაკვეთების ან სამფლობელოების რეორგანიზაციის სხვა ნებაყოფლობით მეთოდებს. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მოქმედება სრულდებოდეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით და აგრეთვე, რომ ყოველ შემთხვევაში, არ გაუარესდეს მაინც ამ სქემების ყველა მონაწილის კეთილდღეობა მათი გამოყენების შემდეგ. ეს მეთოდები საჭიროა გამოყენებულ იქნეს ერთიანი კანონიერი რეორგანიზაციის დროს მრავალრიცხოვან მფლობელთა და მოსარგებლეთა უპირატესობების შესათანხმებლად.
- 13.2. შესაბამის შემთხვევებში, მიწის კონსოლიდაციის პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ საადგილმამულო ბანკების შექმნის საკითხი მიწის ნაკვეთების შესაძენად და დროებითი მართვისათვის ბენეფიციარებისათვის მათ გადაცემამდე.
- 13.3. შესაბამის შემთხვევებში სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ მიწის ნაკვეთების გამსხვილების და საადგილმამულო ბანკების შექმნის წახალისებისა და მხარდაჭერის საკითხი ბუნების დამცავი და ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ასეთი სახელმწიფო პროექტებისათვის მიწის კერძო ნაკვეთების შეძენის მხარდაჭერის მიზნით, აგრეთვე იმ მფლობელთა, ფერმერთა და სურსათის წვრილ მწარმოებელთა, რომელთაც ეს ეხება, კომპენსაციის სახით მიწით უზრუნველსაყოფად, რაც საშუალებას მისცემს მათ გააგრძელონ და გაზარდონ კიდევ წარმოება.
- 13.4. იქ, სადაც მცირე საოჯახო ფერმებისა და ტყეების მრავალ წვრილ ნაკვეთად დაქუცმაცება იწვევს საწარმოო ხარჯების ზრდას, სახელმწიფოებს აქვთ მიწის ნაკვეთების გამსხვილების და საადგილმამულო ბანკების შექმნის უფლება ასეთი მეურნეობებისა და ტყეების სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიზნით. სახელმწიფოებმა არ

უნდა გაამსხვილონ მიწის ნაკვეთების იქ, სადა ნაკვეთების დაყოფა ხელსაყრელია, მაგალითად რისკების შემცირების ან მოსაყვანი კულტურების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით. საფერმერო მეურნეობების რესტრუქტურისაციის მიზნით დასახული მიწის ნაკვეთების გამსხვილების პროექტები შეთავსებული უნდა იყოს ფერმერების მხარდაჭერის პროგრამებთან, მაგალითად, საირიგაციო სისტემების და ადგილობრივი გზების აღდგენის პროგრამებთან. საჭიროა შემუშავდეს ღონისძიებები მიწის ნაკვეთების გამსხვილებაზე მიმართული ინვესტიციების დასაცავად, გამსხვილებული მიწის ნაკვეთების შემდგომი დაქუცმაცების შეზღუდვით.

13.5. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მიწების რეორგანიზაციის სტრატეგიები, რომლებიც უპასუხებენ კონკრეტულ ადგილობრივ პირობებს. ასეთი სტრატეგიები უნდა იყოს სოციალურად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მდგრადი და ითვალისწინებდნენ გენდერულ ფაქტორებს. სტრატეგიებში საჭიროა მიეთითოს რეორგანიზაციის მიდგომების პრინციპები და მიზნები, ბენეფიციარები და აგრეთვე პოტენციალისა და ცოდნის განვითარება სახელმწიფო და კერძო სექტორში, ფერმერებისა და წვრილ მწარმოებელთა ორგანიზაციებში, ტყით მოსარგებლეებში და სამეცნიერო წრეებში. კანონებში გაწერილი უნდა იყოს მიწის ნაკვეთების ან მათი სამფლობელოების რეორგანიზაციის გასაგები და ეკონომიკურად ეფექტიანი პროცედურები, აგრეთვე მათი გამოყენება.

13.6. სახელმწიფოებმა მიწების რეორგანიზაციის პროექტებში უნდა დაადგინონ სათანადო გარანტიები. საჭიროა დამყარდეს კონტაქტი ყველა პირთან, თემებთან და ხალხებთან, რომელთაც შეიძლება შეეხოთ პროექტი და უზრუნველყონ ისინი საკმაო ინფორმაციით გამოყენებულ ენებზე. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს ტექნიკური და სამართლებრივი მხარდაჭერა. ძირეული ხალხების უფლებები განხილული უნდა იქნეს დაინტერესებული მხარეების ფართო წრის მონაწილეობით და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით. ბიომრავალფეროვნების დეგრადაციისა და დაკარგვის თავიდან ასაცილებლად ან მისი მინიმისაციისათვის საჭიროა დადგინდეს ბუნების დამცავი გარანტიები და წახალისდეს გარდაქმნები, რომლებიც ხელს შეუწყობს სათანადო მიწათმოწყობას, მოწინავე გამოცდილების გამოყენებას და მიწების რეკულტივაციას.

14. რესტიტუცია

14.1. შესაბამის შემთხვევებში, ეროვნული პირობების გათვალისწინებით, სახელმწიფოებმა საჭიროა განიხილონ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის დაკარგული კანონიერი უფლებების რესტიტუციის საკითხი. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა ყველა მოქმედება სრულდებოდეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით.

- 14.2. კომპეტენტური ეროვნული ორგანოების დადგენილებით დაზარალებულებს ან მათ მემკვიდრეებს, შეძლებისდაგვარად, უნდა დაუბრუნდეთ ადრე მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთები ან სამფლობელოები. იქ, სადაც ადრე მათი კუთვნილი ნაკვეთების ან სამფლობელოების დაბრუნება შეუძლებელია, სახელმწიფოებმა ოპერატიულად უნდა მისცენ კომპენსაცია ფულადი ფორმით და/ან სხვა ნაკვეთებით და სამფლობელოებით, და უზრუნველყონ ყველა დაზარალებული ადამიანის მიმართ თანასწორი ქცევა.
- 14.3. შესაბამის შემთხვევებში რესტიტუციის საკითხი, რომელიც იწვევს ძირეული ხალხების შეწუხებას, საჭიროა გადაწყდეს ეროვნულ კონტექსტში და ეროვნული კანონებისა და კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად.
- 14.4. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ წესები და კანონები, რომლებშიც გაწერილი იქნება რესტიტუციის მკაფიო და გამჭვირვალე პროცედურები, გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით. ინფორმაცია რესტიტუციის პროცედურების შესახებ ფართოდ უნდა გავრცელდეს გამოყენებულ ენებზე. მოსარჩელებს უნდა გაეწიოთ სათანადო მხარდაჭერა მთელი ამ პროცესის განმავლობაში, იურისტებისა და მათი ასისტენტების დახმარების ჩათვლით. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რესტიტუციის შესახებ სარჩელების გადაუდებელი განხილვა. საჭიროების შემთხვევაში სარჩელის მომგებ პირებს უნდა გაეწიოთ მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ ფლობისა და სარგებლობის თავიანთი უფლებების გამოყენება და შეასრულონ თავიანთი მოვალეობები. საჭიროა ფართოდ გაშუქდეს ცნობები რესტიტუციის ჩატარების შესახებ.

15. გადამანაწილებელი რეფორმები

- 15.1. გადამანაწილებელმა რეფორმებმა შეიძლება ხელი შეუწყონ მიწის რესურსებთან ფართო და სამართლიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და სასოფლო რაიონების ყოველმხრივ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით, იქ, სადაც ეს გამართლებულია ეროვნული პირობებით, სახელმწიფოებმა შეიძლება მიმართონ სახელმწიფო მიწების გამოყოფას, ნებაყოფლობითი ან საბაზრო მექანიზმების გამოყენებას, აგრეთვე მიწის, თევზებისა და ტყის კერძო რესურსების ექსპროპრიაციას საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის.
- 15.2. გადამანაწილებელი რეფორმების კონტექსტში სახელმწიფოებმა ერთ-ერთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებად შეიძლება მიიღოს მიწათმფლობელობის ზომების შეზღუდვა.
- 15.3. ეროვნულ კონტექსტში და ეროვნული სამართლებრივი სისტემებისა და კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება ჩატარდეს გადამანაწილებელი რეფორმები, კერძოდ, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზეზების გამო, როცა საკუთრების უფლებათა კონცენტრაციის მაღალ დონეს თან ახლავს სასოფლო რაიონებში სიღარიბის მაღალი დონე, გამოწვეული მიწის, თევზებისა და ტყის

რესურსებთან წვდომის შეზღუდვით; ამასთან, მე-15 განყოფილების დებულებების შესაბამისად, დაცული უნდა იქნეს ყველა პირის უფლებები, რომლებიც ახორციელებენ ფლობასა და სარგებლობას კანონიერ საფუძველზე. გადამანაწილებელმა რეფორმებმა გარანტია უნდა მისცენ მამაკაცებსა და ქალებს მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებთან თანაბარ წვდომაზე.

- 15.4. იქ, სადაც სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს გაატარონ გადამანაწილებელი რეფორმები, მათ უნდა უზრუნველყონ ამ რეფორმების შესაბამისობა თავიანთ ვალდებულებებთან ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და თავიანთ ნებაყოფლობითი ვალდებულებებთან გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში. რეფორმები უნდა დაექვემდებაროს სამართლიანობის უზენაესობის პრინციპს და განხორციელდეს ეროვნული კანონებისა და პროცედურების შესაბამისად. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ გადამანაწილების საკითხებზე კონსულტაციების ჩატარებას, გამომდინარე იმ პრინციპებიდან, რომლებიც მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში, ყველა მხარის ინტერესების გაწონასწორების ჩათვლით, აგრეთვე შემოთავაზებული მეთოდების მიმართ. საჭიროა განვითარდეს პარტნიორობა სახელმწიფოს, თემების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, ფერმერებისა და სურსათის წვრილი მწარმოებლების, მეთევზეების, ტყის მომხმარებლების და სხვა მხარეთა მონაწილეობით. ბენეფიციარების მხრიდან მოსალოდნელი ფინანსური მონაწილეობა და სხვა შენატანი უნდა შეიზღუდოს გონივრულ ფარგლებში, რათა მათ არ დააწვეთ ვალების აუტანელი ტვირთი. პირებს, რომლებიც უარს აცხადებენ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის თავის უფლებებზე, უნდა გადაეხადოთ სამართლიანი კომპენსაცია, გაუმართლებელი შეყოვნებების დაუშვებლად.
- 15.5. იქ, სადაც სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს გაატარონ გადამანაწილებელი რეფორმები, მათ მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ რეფორმის პროგრამების მიზნები და მიუთითონ მიწები, რომლებიც არ ექვემდებარება ასეთ გადამანაწილებას. საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს სავარაუდო ბენეფიციარები, ოჯახების ჩათვლით, მათ შორის ოჯახების, რომლებიც ისწრაფვიან იმისაკენ, რომ ჰქონდეთ დამხმარე მეურნეობა, ასევე ქალების, სტიქიური დასახლებების მაცხოვრებლების, მომთაბარე მესაქონლეების, ისტორიულად არასასურველ პირობებში ჩაყენებული ადამიანთა ჯგუფების, სოციალურად განყენებული ჯგუფების, ახალგაზრდობის, ძირეული ხალხების, შემგროვებლების და სურსათის წვრილი მწარმოებლების ჩათვლით.
- 15.6. იქ, სადაც სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს გაატარონ გადამანაწილებელი რეფორმები, საჭიროა მათ დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შეიმუშაონ ღონისძიებები და კანონები ასეთი რეფორმების მდგრადობის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთი ღონისძიებები და კანონები ხელს უწყობდნენ ბენეფიციარების, იქნება ეს თემები, ოჯახები თუ ცალკეული პირები, ცხოვრების სათანადო ღონის უზრუნველყოფას მიღებული მიწის,

თევზებისა და ტყის რესურსების ხარჯზე, აგრეთვე უზრუნველყონ გადამანაწილებელი რეფორმების პროცესში თანასწორი მიდგომა მამაკაცებისა და ქალებისადმი. სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ ღონისძიებებს, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს გადამანაწილებელი რეფორმების მოსალოდნელი შედეგების მიღწევას და მათ მდგრადობას.

- 15.7. გადამანაწილებელი რეფორმების ჩატარების შესაძლებლობების განხილვისას სახელმწიფოებს აქვთ უფლება, გამომდინარე საკუთარი განზრახვებიდან, ჩაატაროს განსახილველი რეფორმების პოტენციური პოზიტიური და ნეგატიური შედეგების შეფასება ფლობისა და სარგებლობის უფლებების, სასურსათო უსაფრთხოების და სათანადო კვებაზე უფლების თანდათან განხორციელების, არსებობის საშუალებათა წყაროების და გარემოს თვალსაზრისით. შეფასების ასეთი პროცესი უნდა შეესაბამებოდეს კონსულტაციების ჩატარებისა და მონაწილეობის პრინციპებს, გაცხადებულს წინამდებარე დოკუმენტში. ასეთი შეფასების შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ღონისძიებათა განსაზღვრის საფუძველად, რომლებიც აუცილებელია ბენეფიციარების მხარდაჭერისა და გადამანაწილების პროგრამების სრულყოფისათვის.
- 15.8. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რეფორმების პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ მიწების გადამანაწილებას, უზრუნველყოფდნენ ბენეფიციარების სრულ მხარდაჭერას, კრედიტებზე, მოსავლის დაზღვევაზე, წარმოების საშუალებებზე, ბაზრებზე, სოფელში მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში ტექნიკურ დახმარებაზე, ფერმერულ მეურნეობის განვითარებაზე და საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობის ჩათვლით. დამხმარე მომსახურების გაწევა დროის მიხედვით შეთავსებული უნდა იყოს ბენეფიციარების მიწის ნაკვეთზე გადასვლასთან. მიწის რეფორმების ყველა ხარჯები, დამხმარე მომსახურების გაწევაზე ხარჯების ჩათვლით, წინასწარ უნდა იქნეს განსაზღვრული და შეტანილი შესაბამის ბიუჯეტში.
- 15.9. გადამანაწილებელი რეფორმების ჩატარების წესისა და პროცედურების დადგენისას სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ გამჭვირვალობა, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა და ანგარიშგება. ყველა დაინტერესებული მხარე თანახმა უნდა იყოს გაწერილი პროცესისა და სამართლიანი კომპენსაციებისა, ეროვნული კანონების და მ ე-16 განყოფილების დებულებების შესაბამისად. ყველა დაინტერესებულმა მხარემ, მათ შორის სოციალურად დაუცველმა ჯგუფებმა, უნდა მიიღონ სრული და ნათელი ინფორმაცია რეფორმების შესახებ, მათ შორის განმარტებები გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით. ბენეფიციარები უნდა შეირჩნენ ღია პროცესებით, მათ უნდა მიეცეთ ფლობისა და სარგებლობის გარანტირებული უფლებები, რომლებიც დაფიქსირდება ოფიციალურ რეესტრებში. საჭიროა დაშვებულ იქნენ ეროვნული კანონებით გათვალისწინებული დავების გადაწყვეტის საშუალებებთან. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ გადამანაწილებელი რეფორმების პროგრამების ჩატარების დროს კორუფციის თავიდან აცილებისაკენ,

კერძოდ, ფართო გამჭვირვალობის გზით და ამ პროცესში მონაწილე მხარეების ფართო წრის ჩართვით.

- 15.10. სახელმწიფოებმა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით უნდა ჩაატარონ გადამანაწილებელი რეფორმების პროგრამების განხორციელების შედეგების მონიტორინგი და შეფასება, 15.8 პუნქტში ჩამოთვლილი მათთან დაკავშირებული მხარდაჭერის ღონისძიებები ჩათვლით და მათი შედეგების მიწასთან ხელმისაწვდომობის და სასურსათო უსაფრთხოების ნაწილში, როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის; საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მაკორექტირებელი ღონისძიებები.

16. ექსპროპრიაცია და კომპენსაცია

- 16.1. თავიანთი ეროვნული სამართლებრივი სისტემებისა და კანონმდებლობის ფარგლებში და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ ექსპროპრიაციას მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროა, რომ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებები გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის. სახელმწიფოებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ კანონმდებლობაში საზოგადოებრივ საჭიროებათა კონცეფცია, რათა შესაძლებელი გახდეს გადაწყვეტილებათა სასამართლო გადასინჯვა. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მოქმედება სრულდებოდეს მათი ეროვნული კანონების შესაბამისად, აგრეთვე ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით. მათ პატივი უნდა სცენ ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებების ყველა მფლობელს, პირველ რიგში მოწყვლად და სოციალურად განყენებულ ჯგუფებს, ამოიღონ რესურსების მხოლოდ აუცილებელი მინიმუმი და გადაუდებლად მისცენ სამართლიანი კომპენსაცია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.
- 16.2. ექსპროპრიაციის დაგეგმვისა და ჩატარებისას სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა. საჭიროა დადგინდეს და ყველა ეტაპზე სათანადოდ იქნენ ინფორმირებულები ყველა ის პირი, რომელთაც პოტენციურად შეიძლება შეეხოს ეს პროცესი და გამოთხოვილი იქნეს მათი აზრი. კონსულტაციები, რომლებიც ტარდება წინამდებარე დოკუმენტის პრინციპების შესაბამისად, მოწოდებულია მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის შესაძლო ალტერნატიულ ვარიანტებზე და არსებობის საშუალებათა წყაროებისათვის ზარალის მინიმიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესაძლებლობაზე. სახელმწიფოებმა უნდა გამოიჩინონ წინდახედულობა იქ, სადაც საექსპროპრიაციოდ ნავარაუდევ ტერიტორიებს აქვს განსაკუთრებული კულტურული, რელიგიური ან ეკოლოგიური მნიშვნელობა, ან იქ, სადაც განსახილველ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,

როგორც არსებობის საშუალებათა წყარო მოსახლეობის ღარიბი და მოწყვლადი ფენებისათვის.

- 16.3. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სამართლიანი შეფასება და დაუყოვნებელი კომპენსაცია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. კომპენსაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, ფულადი, ალტერნატიულ ფართობზე ფლობის უფლებით ან ამ ფორმების შეთავსებით.
- 16.4. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შემსრულებელი დაწესებულებები ადამიანური, ფიზიკური, ფინანსური და სხვა პოტენციალით, რამდენადაც იძლევა ამის საშუალებას რესურსები.
- 16.5. იქ, სადაც გეგმებში ცვლილებების შედეგად მიწის, თევზებისა და ტყის რესურსები დარჩა მოუთხოვნიელი, სახელმწიფოებსა ყოფილ უფლებამფლობელებს შესაძლებლობა უნდა მისცეს პირველებმა მიიღონ უკან ეს რესურსები. ასეთ შემთხვევებში უკუშემძენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ექსპროპრიაციის მიღებული საკომპენსაციო თანხა.
- 16.6. ყველა მხარე უნდა ისწრაფოდეს კორუფციის თავიდან აცილებისაკენ, კერძოდ, ღირებულების ობიექტურად შეფასების გამოყენების, გამჭვირვალე და დეცენტრალიზებული პროცესების და მომსახურების, აგრეთვე გასაჩივრების უფლების მიცემის მეშვეობით.
- 16.7. იქ, სადაც გამოსახლება ითვლება გამართლებულად საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის, როგორც შედეგი მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ექსპროპრიაციისა, სახელმწიფოებმა უნდა ჩაატარონ ასეთი გამოსახლება და ყველა დაინტერესებულ მხარეს მოექცნენ იმ თავიანთი ვალდებულებების შესაბამისად, რომლებიც ეხება ადამიანი უფლებათა პატივისცემას, დაცვას და რეალიზაციას.
- 16.8. სანამ განხორციელდება გამოსახლება ან შეიცვლება მიწების დანიშნულება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ცალკეულ პირთათვის და თემებისათვის მათ საწარმოო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ჩამორთმევა, სახელმწიფოებმა, წინამდებარე დოკუმენტში გაცხადებული პრინციპების შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ფარგლებში უნდა შეისწავლონ ყველა შესაძლებელი ალტერნატივა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან, უკიდურეს შემთხვევაში, მინიმუმამდე დაყვანილი გამოსახლების აუცილებლობა.
- 16.9. გამოსახლებისა და გადასახლების შედეგად ადამიანები არ უნდა აღმოჩნდნენ უსახლკარონი ან მოწყვლადები ადამიანი უფლებათა დარღვევის თვალსაზრისით. როცა ასეთ პირებს არ აქვთ შესაძლებლობა თვითონ იზრუნონ თავის თავზე, სახელმწიფოებმა იმ ზომით, როგორც ამის საშუალებას იძლევა რესურსები, უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ღონისძიება, გარემოებების გათვალისწინებით, ადეკვატური ალტერნატიული საცხოვრებელი ან პროდუქტიული მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ფლობასა და სარგებლობის საკითხების რეგულირება

ეს ნაწილი ეძღვნება მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის რეგულირების საკითხებს ფლობისა და სარგებლობის უფლებების აღრიცხვის, შეფასების, დაბეგვრის, რეგულირებადი ტერიტორიების დაგეგმვის, ფლობისა და სარგებლობის შესახებ დავების გადაჭრის და ტრანსსასაზღვრო საკითხების კონტექსტში.

17. ფლობისა და სარგებლობის უფლებების აღრიცხვა

- 17.1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ფლობისა და სარგებლობის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების აღრიცხვის სისტემა (მაგალითად, რეგისტრაციის სისტემები, კადასტრები და ლიცენზირება) ფლობისა და სარგებლობის უფლებათა დამტკიცების მიზნით, მათ შორის უფლებების, რომლებიც ეკუთვნით სახელმწიფოს ან სახელმწიფო სექტორს, კერძო სექტორს, ძირეული ხალხების თემებს და სხვა თემებს ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემებით, აგრეთვე ადგილობრივი გაერთიანებებისა და ბაზრების ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით. ასეთი სისტემები გამოიყენება რეგისტრაციისათვის, აღრიცხვისათვის და ფლობისა და სარგებლობის სფეროში უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ცნობების გამოქვეყნებისათვის, ცნობების ჩათვლით იმის შესახებ, თუ ვისზეა მიმაგრებული ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები, მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ნაწილში რომელ ნაკვეთებზე ან სამფლობელოებზე ვრცელდება აღნიშნული უფლებები და მოვალეობები.
- 17.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სააღრიცხვო სისტემების არსებობა, რომლებიც შეესაბამება მათ კონკრეტულ პირობებს, ადამიანური და ფინანსური რესურსების ჩათვლით. საჭიროა დამუშავდეს და გამოყენებულ იქნეს სოციალური და კულტურული თვალსაზრისით ძირეული ხალხების თემების და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების უფლებების რეგისტრაციის მისაღები ხერხები. გამჭვირვალობის დონის ამაღლებისა და მიწათმოქმედისა და სხვა მიზნებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის სხვა წყაროებთან თავსებადობის მიზნით ყველა სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს ერთიანი სისტემის შემუშავებისაკენ, რომელიც გააერთიანებს რეგისტრაციის არსებულ სისტემებს და სივრცობრივი ინფორმაციის სხვა სისტემებს. ყოველ იურისდიქციაში ცნობები ფლობისა და სარგებლობის უფლებების რეგისტრაციის შესახებ, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფოს და სახელმწიფო სექტორს, კერძო სექტორს, აგრეთვე ძირეული ხალხების თემებს და სხვა თემებს ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემებით, უნდა ინახებოდეს რეგისტრაციის ერთიან სისტემაში. როდესაც ძირეული ხალხების თემების და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების ან სტიქიური დასახლებების მაცხოვრებელთა

ფლობისა და სარგებლობის უფლებების აღრიცხვა არაა შესაძლებელი, ასეთ რაიონებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კონკურენტული უფლებების რეგისტრაციის თავიდან არიდებას.

- 17.3. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ იქითკენ, რომ ყველა პირს მიეცეს შესაძლებლობა თავისი ფლობისა და სარგებლობის უფლებების რეგისტრაციის და ინფორმაციის მიღების დისკრიმინაციის გარეშე, რა ნიშნითაც არ უნდა იყოს ეს. საჭიროების შემთხვევაში შემსრულებელმა დაწესებულებებმა, მაგალითად, მიწის კადასტრებმა, შექმნან სერვის-ცენტრები ან მობილური ოფისები, რათა მათი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს ქალებისათვის, მოსახლეობის ღარიბი და მოწყვლადი ფენებისათვის. ფლობისა და სარგებლობის უფლებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისათვის სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ ადგილობრივი სპეციალისტების, მაგალითად, იურისტების, ნოტარიუსების, მიწათმომწყობებისა და სოციოლოგების მომსახურება.
- 17.4. მომსახურებაზე დანახარჯებისა და დროის შემცირებისათვის შემსრულებელმა დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ გამარტივებული პროცედურები და ადგილობრივ პირობებთან მისადაგებული ტექნოლოგიები. ნაკვეთებისა და სხვა სამიწათმომწყობო ერთეულების გამიჯვნის სიზუსტე უნდა იყოს საკმაო მათი იდენტიფიკაციისათვის ადგილობრივ პირობებში, საჭიროების შემთხვევაში შემდგომში უფრო ზუსტი სამიწათმომწყობო გამიჯვნის ჩატარების შესაძლებლობით. ფლობისა და სარგებლობის უფლებების რეგისტრაციის გამოყენების გასაიოლებლად შემსრულებელმა დაწესებულებებმა უნდა შეათავსონ ინფორმაცია უფლებების, მათი მფლობელების და სამიწათმომწყობო ერთეულების შესახებ, რომლებზეც ვრცელდება ეს უფლებები. ასეთი ჩანაწერები ინდექსირებული უნდა იყოს სამიწათმომწყობო ერთეულების მიხედვით, აგრეთვე უფლებათა მფლობელების მიხედვით, რაც შესაძლებელს გახდის გამოვლინდეს კონკურენტული ან გადამკვეთი უფლებები. საზოგადოების უფრო ფართოდ ინფორმირებულობის კამპანიის ფარგლებში ჩანაწერების ფლობისა და სარგებლობის უფლებების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა გახლეს სახელმწიფო დაწესებულებებისა და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, რათა მათ აამაღლონ მათ მიერ გაწეული მომსახურების დონე. ინფორმაცია საჭიროა მიეწოდოს ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, ფლობისა და სარგებლობის უფლებებზე დეტალიზებული მონაცემებით.
- 17.5. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საყოველთაო ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე ფლობისა და სარგებლობის უფლებების შესახებ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვასთან დაკავშირებული შეზღუდვების გათვალისწინებით. ასეთმა შეზღუდვებმა ხელი არ უნდა შეუშალოს დაუსაბუთებლად საზოგადოებრივი კონტროლის ჩატარებას კორუფციული და უკანონო გარიგებების გამოვლენის მიზნით. სახელმწიფოები და არასახელმწიფო სტრუქტურები უნდა ისწრაფოდნენ კორუფციის აღმოფხვრისაკენ ფლობისა და სარგებლობის უფლებების

დოკუმენტირებისას პროცესების, მოთხოვნების, განფასებების და ნებისმიერი გამონაკლისების, აგრეთვე მომსახურებაზე შეტანილ განაცხადებზე პასუხისათვის განკუთვნილი ვადების გასაჯაროების გზით.

18. შეფასება

- 18.1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ფლობისა და სარგებლობის უფლებების სამართლიანი და დროული შეფასების შესაბამისი სისტემების გამოყენება კონკრეტული მიზნებისათვის, მაგალითად, ბაზრების სამუშაოდ, სესხებზე გარანტიების გასაცემად, ინვესტიციების შედეგად ფლობისა და სარგებლობის უფლებების გადასაცემად, ექსპროპრიაციისათვის და დასაბეგრად. ასეთი სისტემები ხელს უნდა უწყობდნენ უფრო ფართო სოციალური, ეკონომიკური, ბუნების დაცვის მიზნებისა და მდგრადი განვითარების არეში მიზნების მიღწევას.
- 18.2. წესებსა და კანონებში, რომლებიც ეხება შეფასების საკითხებს, უნდა ისწრაფოდნენ, რომ უზრუნველყონ, რათა შეფასების სისტემები ითვალისწინებდნენ, როცა ეს მიზანშეწონილია, არასაბაზრო ღირებულებებს, მაგალითად, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ, სულიერ და ეკოლოგიურ ღირებულებებს.
- 18.3. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ წესები და კანონები, რომლებიც წახალისებს და დააწესებს ტრანსპარენტულობის უზრუნველყოფას ფლობისა და სარგებლობის უფლებების შეფასებაში. ღირებულების ზუსტი და საიმედო შეფასების საფუძვლის ფორმირების მიზნით საჭიროა დარეგისტრირდეს, გაანალიზდეს და ხელმისაწვდომი გახდეს გაყიდვის ფასები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია.
- 18.4. სახელმწიფოებმა და სხვა მხარეებმა საჭიროა დაამუშაონ და გაავრცელონ ღირებულების შეფასების ეროვნული სტანდარტები სახელმწიფო, კომერციული და სხვა მიზნებით. ეროვნული სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს ანალოგიურ საერთაშორისო სტანდარტებს. პერსონალის სწავლება უნდა მოიცავდეს მეთოდოლოგიებს და საერთაშორისო სტანდარტებს.
- 18.5. შემსრულებელმა დაწესებულებებმა, ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახადონ ინფორმაცია ღირებულების შეფასების და ანალიზის შედეგების შესახებ. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ შეფასების დროს კორუფციის თავიდან აცილებისაკენ სახელმწიფო რესურსების მართვის და კომპენსაციების სფეროში ინფორმაციისა და მეთოდოლოგიის გამჭვირვალობის მეშვეობით, ასევე კორპორატიული ანგარიშებისა და დაკრედიტების მიმართაც.

19. დაბეგვრა

- 19.1. სახელმწიფოებს შეუძლიათ თავიანთი უფრო ფართო სოციალური, ეკონომიკური და ბუნების დამცავი მიზნების მიღწევის ხელშესაწყობად გაზარდონ შემონატანები ფლობისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული გადასახადების

ხარჯზე. ასეთი მიზნები შეიძლება მოიცავდეს ინვესტიციების სტიმულირებას ან არასასურველი შედეგების თავიდან აცილებას, სადამდეც, კერძოდ, შეიძლება მიიყვანოს საკუთრების უფლებებით ან ფლობისა და სარგებლობის სხვა უფლებებით სპეკულაციებმა და მათმა კონცენტრაციამ. გადასახადებმა სტიმული უნდა მისცენ სოციალური, ეკონომიკური და ბუნების დაცვის თვალსაზრისით სასურველ მოქმედებებს, მაგალითად, გარიგებათა რეგისტრაციას ან სრული გასაყიდი ფასის გასაჯაროებას.

- 19.2. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, რათა შეიმუშაონ დაბეგვრის ყველა ასპექტის რეგულირების წესები, კანონები და საორგანიზაციო მექანიზმები დართული ფლობისა და სარგებლობის უფლებებზე. დაბეგვრის სფეროს წესები და კანონები, სადაც ეს მიზანშეწონილია, გამოყენებული უნდა იქნეს მთავრობის დეცენტრალიზებული დონეების ეფექტური დაფინანსების უზრუნველსაყოფად და ადგილზე მომსახურების გასაწევად და ინფრასტრუქტურებზე ხელმისაწვდომად.
- 19.3. სახელმწიფოებმა გამჭვირვალედ და ეფექტიანად უნდა განახორციელონ გადასახადების ადმინისტრირება. შემსრულებელი დაწესებულებების პერსონალმა უნდა გაიაროს სწავლება, შესაბამისი მეთოდოლოგიის ჩათვლით. გადასახადები უნდა დადგინდეს, გამომდინარე ღირებულების სათანადო შეფასებიდან. ღირებულების შეფასების შედეგები და დასაბეგრი თანხები ექვემდებარება გასაჯაროებას. სახელმწიფოებმა უფლება უნდა მისცენ გადასახადის გადამხდელებს გასაჩივრონ ღირებულების შეფასების შედეგები. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ თავიდან აიცილონ კორუფცია დაბეგვრის ადმინისტრირებისას გამჭვირვალობის გაზრდით და ღირებულების ობიექტური შეფასებით.

20. რეგულირებადი ტერიტორიული დაგეგმვა

- 20.1. რეგულირებადი ტერიტორიული დაგეგმვა გავლენას ახდენს ფლობისა და სარგებლობის უფლებებზე, რადგან კანონიერად ზღუდავს ამ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას. სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ რეგულირებადი ტერიტორიული დაგეგმვა, ბალანსირებული და მდგრადი ტერიტორიული განვითარების ჩათვლით, ჩაატარონ მონიტორინგი და უზრუნველყონ მიღებული გეგმების შესრულება ისე, რომ ხელი შეუწყონ წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების მიზნების მიღწევას. ამ მხრივ ტერიტორიული დაგეგმვა უნდა უზრუნველყოფდეს მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების გამოყენების სხვადასხვა მიზნების შეთანხმებულობას და ჰარმონიზაციას.
- 20.2. სახელმწიფოებმა კონსულტაციების საფუძველზე და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, გენდერული ფაქტორების მხედველობაში მიღებით, უნდა შეიმუშაონ და გასაჯაროონ კანონები და წესები, რომლებიც ეხება რეგულირებად ტერიტორიულ დაგეგმვას. შესაბამის შემთხვევებში, დაგეგმვის ოფიციალურ სისტემებში გათვალისწინებული უნდა იყოს დაგეგმვის და ტერიტორიული განვითარების მეთოდები, რომლებიც ძირეული ხალხების და ფლობისა და სარგებლობის

ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების პრაქტიკაშია და ასეთი თემების შიგნით გადაწყვეტილებათა მიღების ტრადიციული პროცესები.

20.3. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რეგულირებადი ტერიტორიული დაგეგმვის ჩატარება მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების და მათი გამოყენების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, ასეთი გამოყენების გენდერული ასპექტების ჩათვლით. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ სახელმწიფოს, თემებისა და კერძო პირთა ინტერესების შეთანხმებისა და პრიორიტეტულობისაკენ და შეათავსონ მოთხოვნები გამოყენების სხვადასხვა სახეობების მიმართ, მაგალითად, სოფლის მოსახლეობის, სოფლის მეურნეობის, მომთაბარეთა, ქალაქის მოსახლეობის და ბუნების დაცვის ინტერესებში. ტერიტორიული დაგეგმვა უნდა განხორციელდეს ფლობისა და სარგებლობის ყველა უფლების გათვალისწინებით, ურთიერთგადამკვეთი და პერიოდული უფლებების ჩათვლით. ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში მოთხოვნილი უნდა იქნეს რისკების შესაბამისი შეფასების ჩატარება. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ტერიტორიული გეგმების კოორდინაცია.

20.4. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოების ფართო მონაწილეობა დაგეგმვაზე წინადადებების შემუშავებაში და ტერიტორიული გეგმების პროექტების განხილვაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათში თემების პრიორიტეტები და ინტერესები, ძირეული ხალხების თემების და სურსათის მწარმოებელი თემების ჩათვლით. იქ, სადაც აუცილებლად საჭიროა, დაგეგმვის პროცესში თემებს უნდა გაეწიოთ დახმარება. შემსრულებელმა დაწესებულებებმა ინფორმაცია უნდა მიაწოდონ საზოგადოებას იმაზე, თუ როგორ იქნა ასახული მათი წინადადებები საბოლოო ტერიტორიულ გეგმებში. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ კორუფციის აღმოფხვრისაკენ ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში უფლებამოსილებათა არასათანადო გამოყენების დაუშვებლობისათვის ზომების მიღებით, კერძოდ, მიწების მიწნობრივი დანიშნულების ცვლილებების მხრივ. შემსრულებელმა დაწესებულებებმა უნდა ჩააბარონ ანგარიში გეგმების შესრულების მონიტორინგის შედეგების შესახებ.

20.5. ტერიტორიული დაგეგმვის დროს საჭიროა სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული აუცილებლობა ხელსაყრელი პირობების შექმნისა მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების დივერსიფიცირებული მდგრადი მართვისათვის, აგროეკოლოგიური მიდგომების და მდგრადი ინტენსიფიკაციის და კლიმატის ცვლილებისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების გადასალახ საჭიროებათა ჩათვლით.

21. ფლობისა და სარგებლობის უფლებების გამო წარმოქმნილი დავების გადაწყვეტა

21.1. სახელმწიფოებმა მიუკერძოებელი და კომპეტენტური სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით უნდა უზრუნველყონ დაშვება ფლობისა და

სარგებლობის უფლებების შესახებ დავების გადაწყვეტის დროულ, ხელმისაწვდომ და ეფექტიან საშუალებებთან, ასეთი დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ჩათვლით, მისცენ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები და აპელაციის უფლება. უნდა უზრუნველყონ მიღებული გადაწყვეტილებების დროულად შესრულება. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ხელმისაწვდომობა პოტენციური დავების საწყის ეტაპებზე თავიდან აცილების ან გადაწყვეტის მექანიზმებზე, თვით შემსრულებელ დაწესებულებაში ან სხვა სტრუქტურებში. დავების გადაწყვეტაზე მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, როგორც ქალების, ისე მამაკაცებისათვის, ადგილსამყოფელის, ენისა და პროცედურების თვალსაზრისით.

- 21.2. სახელმწიფოებს შეუძლიათ შექმნან სპეციალიზებული ტრიბუნალები ან ორგანოები სპეციალურად ფლობისა და სარგებლობის უფლებების შესახებ დავების განსახილველად და შემოიღონ ექსპერტების თანამდებობი სასამართლო ორგანოებთან ტექნიკური ხასიათის საკითხების განსახილველად. სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ შექმნან სპეციალური ტრიბუნალები რეგულირებადი ტერიტორიული დაგეგმვის, გეოდეზიური აგეგმვის და ღირებულების შეფასების შესახებ დავების განსახილველად.
- 21.3. სახელმწიფოებმა უნდა განამტკიცონ და განავითარონ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმები, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე. იქ, სადაც არსებობს დავების გადაწყვეტის ტრადიციული ან სხვა დამდგარი ფორმები, მათ უნდა უზრუნველყონ სამართლიანი, საიმედო, ხელმისაწვდომი და არადისკრიმინაციული შესაძლებლობები ფლობისა და სარგებლობის უფლებების შესახებ დავების დაუყოვნებლივ გადასაწყვეტად.
- 21.4. სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ დავების გადასაწყვეტად შემსრულებელი დაწესებულებების გამოყენების შესაძლებლობა მათი ტექნიკური კომპეტენციის სფეროში, ანუ შემსრულებელ დაწესებულებებს, რომელთა კომპეტენციის სფეროშიც შედის მიწის აზომვითი სამუშაოები, შეეძლებათ ეროვნულ კონტექსტში გადაჭრან დავები ცალკეული ნაკვეთების საზღვრების შესახებ. გადაწყვეტილებები გამოტანილი უნდა იქნეს წერილობითი სახით, ობიექტური არგუმენტაციის საფუძველზე; ამას გარდა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს სასამართლო ორგანოებში მათი გასაჩივრების უფლება.
- 21.5. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ დავების გადაწყვეტის პროცესში კორუფციის აღმოფხვრისაკენ.
- 21.6. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მართლმსაჯულებასთან ყველას საიმედო ხელმისაწვდომობა რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, დავების გადაწყვეტის მექანიზმების წარდგენისას სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, რომ გაუწიონ სამართლებრივი დახმარება მოწყვლად და სოციალურად განყენებულ პირებს. სასამართლო და სხვა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ თავისი პერსონალი

ასეთი მომსახურების გასაწევად საჭირო ჩვევებით და კომპეტენტურობის დონით.

22. ტრანსსასაზღვრო საკითხები

- 22.1. შესაბამისი მექანიზმების ფარგლებში და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების, რომლებსაც ყოფენ სახელმწიფო საზღვრები, ფლობისა და სარგებლობის საკითხების გადაწყვეტაში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მოქმედა ხდებოდეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით. სახელმწიფოებში, სადაც დგება ფლობისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული ტრანსსასაზღვრო საკითხები, მხარეებმა ერთად უნდა იმუშაონ ასეთი ფლობისა და სარგებლობის უფლებების, არსებობის საშუალებათა წყაროების და მომთაბარე მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დასაცავად, როცა მომთაბარეების იმყოფებიან მათ შესაბამის ტერიტორიებზე.
- 22.2. სახელმწიფოებმა და სხვა მხარეებმა წილი უნდა შეიტანონ ფლობისა და სარგებლობის ტრანსსასაზღვრო პრობლემების გაგებაში, რომლებიც გავლენას ახდენენ თემების ცხოვრებაზე, კერძოდ, საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია სამოვრებთან ან მომთაბარე მესაქონლეთა სეზონური მიგრაციის მარშრუტებთან, აგრეთვე საერთაშორისო საზღვრებით გადაკვეთილ რაიონებთან, სადაც მისდევენ წვრილ თევზსაჭერ მეურნეობას.
- 22.3. შესაბამის შემთხვევებში სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ ფლობისა და სარგებლობის რეგულირების სამართლებრივი სტანდარტების ჰარმონიზაცია ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით. შესაბამის შემთხვევებში აღნიშნული საქმიანობა კოორდინირებული უნდა იქნეს შესაბამის რეგიონულ ორგანოებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. სახელმწიფოებმა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, სადაც ასეთი მონაწილეობა მიზანშეწონილია, საჭიროა შეიმუშაონ ან განამტკიცონ მოქმედი საერთაშორისო დონის დოკუმენტები ფლობისა და სარგებლობის ტრანსსასაზღვრო უფლებების რეგულირებისათვის. მათ უნდა თავიანთი საქმიანობის კოორდინაცია შესაბამის რეგიონულ ორგანოებთან, სადაც ეს მიზანშეწონილია. ეს უნდა გაკეთდეს, პირველ რიგში, არსებობის საშუალებათა წყაროების დასაცავად და 4.8 პუნქტის დებულებების შესაბამისად, ყველა დაინტერესებული მხარის უფლებების დასაცავად.

რეაგირება კლიმატის ცვლილებებზე და საგანგებო სიტუაციებზე

ამ ნაწილში მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის რეგულირების საკითხები განიხილება კლიმატის ცვლილებების, სტიქიურ უბედურებათა და კონფლიქტების კონტექსტში.

23. კლიმატის ცვლილება

- 23.1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებები, რომლებიც ეკუთვნის ყველა პირს, თემებს ან ადამიანებს და რომლებმაც შეიძლება განიცადონ კლიმატის ცვლილების ზემოქმედება, პირველ რიგში ფერმერებმა, სურსათის წვრილმა მწარმოებლებმა, მოწყვლადმა და სოციალურად განყენებულმა ადამიანებმა, პატივსაცემი და დაცული უნდა იყოს კანონებით, წესებით, სტრატეგიებით და ქმედებებით, მიმართულით კლიმატის ცვლილების თავიდან აცილებისაკენ და მისი შედეგების შემსუბუქებისაკენ, როგორც ამას თხოულობს სახელმწიფოების ვალდებულებები კლიმატის ცვლილების საკითხებზე შესაბამისი ჩარჩო ხელშეკრულებების მიხედვით.
- 23.2. შესაბამის შემთხვევებში სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, რომ შეიმუშაონ და განახორციელონ სტრატეგიების და ქმედებები კონსულტაციების საფუძველზე ყველა ადამიანის, ქალების და მამაკაცების მონაწილეობით, რომლებიც შეიძლება გადაადგილებულნი იყვნენ კლიმატის ცვლილების შედეგად. გადაადგილებულ პირთათვის ალტერნატიული მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების მიცემამ საფრთხის ქვეშ არ უნდა დააყენოს სხვა ადამიანების საარსებო საშუალებათა წყაროები. სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ განიხილონ კუნძულოვანი და სხვა განვითარებადი ქვეყნებისათვის განსაკუთრებული დახმარების საკითხები.
- 23.3. კონსულტაციების ჩატარების მონაწილეობის, წინამდებარე დოკუმენტში გაცხადებული პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ ყველა პირის, თემების ან ადამიანების, რომლებიც ფლობენ ფლობისა და სარგებლობის კანონიერ უფლებებს, პირველ რიგში ფერმერების, სურსათის წვრილი მწარმოებლების, მოწყვლადი და სოციალურად განყენებული ადამიანების მონაწილეობას შედეგების შემსუბუქებისა და ადაპტაციის პროგრამების განხილვასა და განხორციელებაში.

24. სტიქიური უბედურებები

- 24.1. სტიქიური უბედურებების თავიდან აცილების, მათთვის მომზადებასა და მათზე რეაგირების საქმიანობაში ყველა მხარემ უნდა უზრუნველყოს მიწის, თევზებისა

და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის ასპექტების სტიქიური უბედურებების თავიდან ასაცილებლად ან მათი შესაძლებელი შედეგების მინიმიზაციისათვის საჭიროა შეიქმნას ფლობისა და სარგებლობის სისტემის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, ტერიტორიული დაგეგმვის ჩათვლით.

- 24.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა ყველა მოქმედება სრულდებოდეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით. სტიქიურ უბედურებებზე რეაგირების დროს ყველა მხარემ უნდა იმოქმედოს საერთაშორისო პრინციპების მხედველობაში მიღებით, შესაბამის შემთხვევებში, გაეროს მიერ მიღებული ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლისა და ქონების რესტიტუციის პრინციპების („პინეირუს პრინციპები“) და აგრეთვე ჰუმანიტარული ქარტიის და მინიმალური სტანდარტების ჩათვლით.
- 24.3. სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ფლობისა და სარგებლობის საკითხები სტიქიური უბედურებების თავიდან აცილების და მათდამი მზადყოფნის მომზადების პროგრამებში. რაიონებში, რომლებმაც შეიძლება განიცადონ სტიქიური უბედურებები, ფლობისა და სარგებლობის კანონიერ უფლებებზე ინფორმაციის მოგროვება უნდა ტარდებოდეს წინამდებარე დოკუმენტში გაცხადებული კონსულტაციების ჩატარებისა და მონაწილეობის პრინციპების შესაბამისად. ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებების აღრიცხვის სისტემები უნდა იყოს მდგრადი სტიქიური უბედურებების მიმართ, მონაცემების სხვა ადგილებში შენახვის ჩათვლით, რაც საშუალებას მისცემს უფლებამფლობელებს, რომ დაამტკიცონ თავიანთი უფლებები და აღადგინონ თავიანთი ნაკვეთები ან მიწათმოწყობის ერთეულები ახალ ადგილზე. სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ დაადგინონ რაიონები იმ ადამიანების დროებით გადასახლებლად, რომლებიც შეიძლება გადაადგილებულ იქნენ სტიქიური უბედურებების შედეგად, აგრეთვე დაადგინოს წესები, რომლებიც შესაძლებელს ხდის ამ რაიონებში ფლობისა და სარგებლობის უფლებების უზრუნველყოფას.
- 24.4. სახელმწიფოებმა და სხვა მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ფლობისა და სარგებლობის საკითხები უკვე საგანგებო რეაგირების ეტაპზე. გადაადგილებულ პირთათვის მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების და არსებობის საშუალებათა წყაროების არანაირმა გადაცემამ საფრთხის ქვეშ არ უნდა დააყენოს სხვა ადამიანების უფლებები და არსებობის საშუალებათა წყაროები. ასევე საჭიროა აღიარებულ იქნეს, პატივი მიეგოს და დაცულ იქნეს გადაადგილებულ პირთა ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებები. ყველა დაზარალებულს შორის საჭიროა გავრცელდეს ინფორმაცია ფლობისა და სარგებლობის უფლებებზე და არასანქცირებულ სარგებლობაზე.
- 24.5. სახელმწიფოებმა და სხვა მხარეებმა აღდგენის ეტაპზე საჭიროა გაითვალისწინონ

ფლობისა და სარგებლობის საკითხები. დროებით გადაადგილებულ პირებს საჭიროა გაეწიოთ თანადგომა ნებაყოფლობით, უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნებაში მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე. საჭიროა მიეცეთ დაშვება ფლობისა და სარგებლობის საკითხებზე დავების გადაწყვეტის საშუალებებზე. იქ, სადაც საჭირო გახდება ნაკვეთების ან სხვა მიწათმოწყობის ერთეულების საზღვრების აღდგენა, საჭიროა ეს გაკეთდეს წინამდებარე დოკუმენტში გაცხადებული კონსულტაციების ჩატარებისა და მონაწილეობის პრინციპების შესაბამისად. იქ, სადაც შეუძლებელია ხალხის დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში, საჭიროა ისინი გადასახლდნენ სხვა ადგილებში მუდმივ საცხოვრებლად. ასეთი გადასახლება შეთანხმებული უნდა იქნეს მიმღებ თემებთან, რათა გადასახლებული პირებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს გარანტირებული ხელმისაწვდომობა ალტერნატიულ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებზე და არსებობის საშუალებათა წყაროებზე და ამასთან, საფრთხის ქვეშ არ დადგეს სხვა ადამიანების უფლებები და არსებობის საშუალებათა წყაროები.

25. კონფლიქტები მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის საკითხების მიმართ

- 25.1. საჭიროა ყველა მხარემ მიიღოს ზომები, რათა მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის საკითხები არასოდეს არ გახდეს კონფლიქტების მიზეზი და უზრუნველყოს ფლობისა და სარგებლობის საკითხების გადაწყვეტა კონფლიქტების დაწყებამდე, მათი მიმდინარეობისას და დამთავრების შემდეგ, ოკუპაციის შემთხვევების ჩათვლით, როცა მხარეებმა საჭიროა იმოქმედონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენებული დებულებების შესაბამისად.
- 25.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მოქმედება ხდებოდეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი მოქმედი ვალდებულებების შესაბამისად და გამოყენებული რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში ნებაყოფლობითი ვალდებულებების ჯეროვნად გათვალისწინებით, აგრეთვე, ვითარებაზე დამოკიდებულებით, კონვენციაში ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და მის თანდართულ ოქმში ჩადებული ვალდებულებების და გაეროს მიერ მიღებული ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლისა და ქონების რესტიტუციის პრინციპების („პინერიუს პრინციპები“) ჩათვლით. კონფლიქტების დროს და მათი დამთავრების შემდეგ სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დებულებები, რომლებიც ეხება ფლობისა და სარგებლობის კანონიერ უფლებებს.
- 25.3. ყველა მხარემ უნდა მიიღოს ზომები ფლობისა და სარგებლობის პრობლემების მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტად, რათა ისინი არ გადაიზარდოს კონფლიქტებში. სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა გადახედონ შესაბამის წესებსა და

კანონებს დისკრიმინაციისა და სხვა ფაქტორების აღმოსაფხვრელად, რომლებიც შეიძლება გახდნენ კონფლიქტების მიზეზები. შესაბამის შემთხვევებში სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ ტრადიციული და სხვა ადგილობრივი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლიან, საიმედო, გენდერული ფაქტორების და არადისკრიმინაციული შესაძლებლობების გათვალისწინებით, მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებების გამო დავების დაუყოვნებლივ გადაწყვეტას.

25.4. კონფლიქტების წარმოქმნისას სახელმწიფოების და სხვა მხარეების უნდა ისწრაფოდნენ იმისკენ, რომ პატივი სცენ და დაიცვან ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებები, აგრეთვე გარანტია მისცენ, რომ ეს უფლებები არ იქნება ანულირებული სხვა მხარეების მიერ. როგორც ამას მოითხოვს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მოქმედი ვალდებულებები, სახელმწიფოებმა არ უნდა აღიარონ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებები, რომლებიც მოპოვებულია მათ ტერიტორიებზე იძულებითი და/ან ძალადობრივი გზით. ლტოლვილები და გადაადგილებული პირები, აგრეთვე სხვა პირები, დაზარალებულნი კონფლიქტით, უნდა განთავსდნენ უსაფრთხო პირობებში ისე, რომ დაცულ იქნეს მიმღები თემების ფლობისა და სარგებლობის უფლებები. საჭიროა ფლობისა და სარგებლობის უფლებების დარღვევების დოკუმენტირება და შესაბამის შემთხვევებში, შემდგომში მათი აღმოფხვრა. საჭიროა დაცულ იქნეს განადგურებისაგან და ქურდობისაგან ფლობისა და სარგებლობის უფლებების ოფიციალური რეესტრები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მტკიცებულებები ასეთი დარღვევების შედეგების აღმოსაფხვრელად და შესაძლო გამოსასწორებელ ღონისძიებათა რეალიზაცია, ხოლო იქ, სადაც ასეთი რეესტრები არ არსებობს/ საჭიროა რაც შეიძლება ზუსტად, გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით, დაფიქსირდეს ფლობისა და სარგებლობის არსებული უფლებები, კერძოდ, ზეპირი შეტყობინებები და მოწმობები. საჭიროა ცნობილ იქნეს, პატივი ეცეს და დაცულ იქნეს ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა კუთვნილი ფლობისა და სარგებლობის კანონიერი უფლებები. ყველა დაზარალებულს შორის საჭიროა გავრცელდეს ინფორმაცია ფლობისა და სარგებლობის უფლებებზე და აგრეთვე არასანქცირებულ სარგებლობაზე.

25.5. კონფლიქტების დროს, როგორც კი ეს ხდება შესაძლებელი ან კონფლიქტის შეწყვეტის შემდეგ, სახელმწიფოებმა და სხვა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ფლობისა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს გენდერული თანასწორობა და მხარი დაეჭიროს დაზარალებული პირების პრობლემების გადაწყვეტას გრძელვადიან პერსპექტივაში. იქ, სადაც შესაძლებელია რესტიტუცია და როცა ეს მიზანშეწონილია, გაეროს ლტოლვილთა საქმეების სააგენტოს და სხვა შესაბამისი დაწესებულებების დახმარებით, ლტოლვილებს და გადაადგილებულ პირებს უნდა გაეწიოთ დახმარება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობით და ღირსეულად

დაბრუნებაში, როგორც ამას მოითხოვენ გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტები. რესტიტუციის, რეაბილიტაციის და რეპარაციის პროცესებს უნდა ჰქონდეთ არადისკრიმინაციული ხასიათი და ითვალისწინებდნენ გენდერულ ფაქტორებს, საჭიროა მათი საჯაროობა, ხოლო სარჩელების რესტიტუციის შესახებ უნდა განიხილებოდეს დაუყოვნებლივ. ძირეული ხალხების თემების და ფლობისა და სარგებლობის ტრადიციული სისტემების მქონე სხვა თემების ფლობისა და სარგებლობის უფლებების რესტიტუციის პროცედურებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ინფორმაციის ტრადიციული წყაროების გამოყენება.

- 25.6. იქ, სადაც რესტიტუცია შეუძლებელია, საჭიროა მიმღებ თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მოლაპარაკება ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთათვის ალტერნატიულ მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებზე და არსებობის საშუალებათა წყაროებზე გარანტირებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ ისე, რომ გადასახლება საფრთხის ქვეშ არ დააყენოს სხვა ადამიანების არსებობის საშუალებათა წყაროები. შეძლებისდაგვარად, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს მოწყვლადი პირებისათვის, ქვრივებისა და ობლების ჩათვლით, მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებზე საიმედო წვდომის უზრუნველყოფის განსაკუთრებული წესი.
- 25.7. შესაბამის შემთხვევებში, ადრე არსებულ და კონფლიქტების დროს წარმოქმნილი დისკრიმინაციებთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა გადაიხედოს წესები და კანონები. იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, ფლობისა და სარგებლობის უფლებების საკითხების საპასუხისმგებლო რეგულირებისათვის საჭირო მომსახურების გასაწევად უნდა აღდგეს შესაბამისი დაწესებულებები.

წინ წაწევა, გამოყენება, მონიტორინგი და შეფასება

- 26.1. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების ნებაყოფლობითი ხასიათის გათვალისწინებით, სახელმწიფოები თვითონ არიან პასუხისმგებელნი მათ გამოყენებაზე, მონიტორინგზე და შეფასებაზე.
- 26.2. სახელმწიფოებს რეკომენდაცია ეძლევათ ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე შექმნან მრავალმხრივი პლატფორმები და სისტემები ან გამოიყენონ უკვე არსებული ასეთი სახის პლატფორმები და სისტემები თანამშრომლობის ორგანიზებისათვის წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების, მონიტორინგის და შეფასების გამოყენების მიზნით და მათ გამოსაყენებლად საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, აგრეთვე მათი ქმედითობის შესაფასებლად მიწის, თევზებისა და ტყის რესურსების ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირების გაუმჯობესების, სასურსათო უსაფრთხოების დონის ამაღლების და ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების და მდგრადი განვითარების კონტექსტში სათანადო კვებაზე უფლების თანდათან განხორციელების თვალსაზრისით. აღნიშნული პროცესი უნდა იყოს ფართო, განხორციელდეს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით; ის უნდა იყოს რეალურად განხორციელებადი, ეკონომიკურად ეფექტიანი და მდგრადი. მითითებული ამოცანების გადაწყვეტისას სახელმწიფოებს შეუძლიათ მიმართონ რეგიონულ და საერთაშორისო ორგანოებს ტექნიკური მხარდაჭერისათვის.
- 26.3. პარტნიორებს განვითარებაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ორგანიზაციებს და რეგიონულ ორგანიზაციებს რეკომენდაცია ეძლევათ მხარი დაუჭირონ სახელმწიფოების ნებაყოფლობით ძალისხმევებს, მიმართულს წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებისაკენ, მათ შორის სამხრეთ-სამხრეთის ფორმატში თანამშრომლობის ფარგლებში. ასეთი მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს ტექნიკურ თანამშრომლობას, ფინანსურ დახმარებას, ინსტიტუციური პოტენციალის ზრდას, ცოდნის გავრცელებას და გამოცდილების გაზიარებას, დახმარებას ფლობისა და სარგებლობის სფეროში ეროვნული წესების დამუშავებასა და გამოყენებაში და ტექნოლოგიების გადაცემას.
- 26.4. მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტი უნდა გახდეს გლობალური ფორუმი, სადაც ყველა დაინტერესებულ მხარეს შეეძლებათ ისწავლონ ერთმანეთის გამოცდილებაზე, შეაფასონ წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვის მიმდინარეობა, მათი აქტუალობა, ეფექტიანობა და ქმედითობა. ამ მიზნით მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტის სამდივნომ საკონსულტაციო

ჯგუფთან თანამშრომლობით უნდა მოახსენებდეს მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტს წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვის მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე აფასებდეს მათ ქმედითობას და წვლილს ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირებაში. ასეთი მოხსენებები უნდა იყოს ყოველმხრივი და ასახავდეს, სხვათა გარდა, რეგიონულ გამოცდილებას, მოწინავე პრაქტიკას და მიღებულ გაკვეთილებს.

- 26.5. ყველა მხარეს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და კერძო სექტორის ჩათვლით, რეკომენდაცია ეძლევა ერთობლივად დააწინაურონ და დანერგონ წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ეროვნული პრიორიტეტების და პირობების შესაბამისად. ყველა მხარეს ეძლევა რეკომენდაცია გაავრცელონ ინფორმაცია ფლობისა და სარგებლობის საკითხების საპასუხისმგებლო სახელმწიფო რეგულირების შესახებ მუშაობის პრაქტიკული მეთოდების სრულყოფის მიზნით.



მოცემული სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს პირველ ყოველმხრივ გლობალურ სამართლებრივ დოკუმენტს, მიძღვნილს რესურსების ფლობისა და სარგებლობის სისტემის და მისი რეგულირების საკითხებისადმი, რომელიც მომზადებულ იქნა მთავრობათაშორისი მოლაპარაკებების შედეგად. მათში გადმოცემულია მიწის, თევზებისა და ტყის რესურსებით სარგებლობის და აგრეთვე მათი მართვის საპასუხისმგებლო პრაქტიკის პრინციპები და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები. დოკუმენტი შეიცავს რეკომენდაციებს პოლიტიკის, კანონმდებელი და რესურსების ფლობისა და სარგებლობის უფლებების მარეგულირებელი საორგანიზაციო მექანიზმების სრულყოფისათვის, რესურსების ფლობისა და სარგებლობის და მათი რეგულირების სისტემების ტრანსპარენტობის გაზრდისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების, კერძო საწარმოების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და ცალკეული პირების შესაძლებლობების და საქმიანობის გააქტიურებისათვის, რომლებიც დაკავებული არიან რესურსების ფლობისა და სარგებლობის და მათი რეგულირების პრობლემებით. რესურსების ფლობისა და სარგებლობის საკითხების რეგულირება მოცემულ დოკუმენტში განიხილება ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში, ხოლო თვით იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს სათანადო კვების უფლების თანდათან რეალიზაციას, სიღარიბის აღმოფხვრას, გარემოს დაცვას და მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.